

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება
ნანა აბაიშვილი



ინტერვიუს ჟანრი ლიტერატურულ ჟურნალ „არილში“
ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მასიაშვილი
ასოცირებული პროფესორი, მასობრივი კომუნიკაციების დოქტორი

თბილისი

2025

ანოტაცია

საკვალიფიკაციო ნაშრომი შეისწავლის ინტერვიუს ჟანრის ფუნქციას, გამოყენების სპეციფიკასა და მახასიათებლებს ლიტერატურული ჟურნალის, "არილის" მაგალითზე. 10 მედიური ნიმუშის დისკურსული/ჟანრული ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩენთ ინტერვიუს პოტენციალს ლიტერატურული პროცესის ასახვაში, რაც უფრო მეტია, ვიდრე მხატვრული პერფორმანსი. ასევე - გამოვავლენთ ჟანრის ანალიტიკურ შესაძლებლობებსა და ღირებულებებს. ლიტერატურული მიმოხილვისთვის განკუთვნილ მიმართულებას მოიცავს ჟურნალის მედიუმის ისტორიული და გავრცელებითი შინაარსი და ინტერვიუს დაბადების და მნიშვნელობითი ხარისხის თეორიული გადმოცემა. ლიტერატურული მიმოხილვის ფარგლებში განხილული ქვემიმართულებების სათაურებია: 1. ლიტერატურული ჟურნალები მსოფლიო და ქართულ ჟურნალისტიკაში; 2. ლიტერატურული პროცესი და ლიტერატურული ჟურნალი; 3. ლიტერატურული ჟურნალი „არილი“; 4. ინტერვიუ, ლიტერატურული ინტერვიუ და ლიტერატურული პროცესი; ლიტერატურული მიმოხილვის თეორიული და ისტორიული ანალიზის შემდეგ, გადავალთ საკვლევ საკითხზე, რომლის ფარგლებშიც ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული კანონზომიერების მიხედვით არჩეულ 10 ინტერვიუზე განვახორციელებთ კვლევით პროცესს. პროცესის წარმართვა და ჩარჩოებში მოქცევა შესაძლებელი იქნება წინასწარშედგენილი კითხვების მეშვეობით. კვლევის მთავარი მიმართულება კი ამ კითხვებზე პასუხების გაცემას მოიაზრებს. დისკურსული ანალიზის განხორციელების შემდგომ, შევაჯამებთ მიღებულ შედეგებს და შევეცდებით, რომ წარმოვაჩინოთ საზოგადოების, ლიტერატურის, ჟურნალისტიკის და მათ შორის განვითარებული პროცესების ფართო სურათი, რომლის საფუძველზეც ნაშრომის დასკვნით ნაწილში განვიხილავთ ლიტერატურული ინტერვიუს როლს და დამსახურებებს.

სარჩევი

შესავალი -----	4
1 - ლიტერატურული მიმოხილვა -----	5
1.1 - ლიტერატურული ჟურნალები მსოფლიო და ქართულ ჟურნალისტიკაში -----	5
1.2 - ლიტერატურული პროცესი და ლიტერატურული ჟურნალი -----	18
1.3 - ლიტერატურული ჟურნალი „არილი“ -----	20
1.4 - ინტერვიუ, ლიტერატურული ინტერვიუ და ლიტერატურული პროცესი -----	21
2 - კვლევის დიზაინი -----	24
3 - კვლევის მეთოდი -----	24
4 - დისკურსული ანალიზი -----	26
4.1 - პერსონალური გამოცდილებების რეფლექსირება კრეატიულ პროცესში -----	26
4.2 - ლიტერატურული სტიმული -----	32
4.3 - ქალთა გამოძახილი ლიტერატურაში -----	38
4.4 - ლიტერატურული პროცესების პრობლემები და გადაჭრის გზები -----	44
4.5 - ჟურნალისტიკის და რესპონდენტის თანხვედრა კომუნიკაციურ პროცესში -----	49
დასკვნა -----	54

შესავალი

ლიტერატურის და ჟურნალისტიკის გადამკვეთ ხაზზე შევხვდებით მიმდინარეობას, რომელიც ორივე სფეროს ბმით მიიღება და ლიტერატურული ინტერვიუს ჟანრის სახით ფორმირდება. ლიტერატურული ინტერვიუ – განსხვავებით სხვა ჟურნალისტური ჟანრებისგან – გამოირჩევა მისი უნარით, რომ სტატიკური, აწ უკვე შექმნილი და ყდით შემოსაზღვრული ლიტერატურული პროდუქტი ხელშესახები და რეალური გახადოს. სწორედ აქ თამაშობს დიდ როლს ჟანრის ჟურნალისტური კუთხე და ხელს უწყობს შემოქმედის და მის მიერ წარმოებული ლიტერატურული პროცესების განზოგადების და საზოგადოებამდე აქტუალური თემის სახით მიწოდების კომუნიკატივისტურ ჭრილში მიმდინარეობას. ნაშრომის საწყის ფაზაში დავაკვირდებით გზას, რომელიც გლობალურ და ლოკალურ ფორმატში განვლო ჟურნალმა, იმ მედიუმმა, რომელშიც ყველაზე ხშირად შევხვდებით ლიტერატურულ ინტერვიუს. ამის შემდეგ, განვიხილავთ იმ მიზეზებს, რომლებიც ჟურნალს მედიუმის სტატუსს ანიჭებს და შემდეგ შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ინტერვიუს ჟანრის მნიშვნელობითი ღირებულება. თეორიული მასალის გაცნობის შემდეგ, დისკურსული (ჟანრული) ანალიზის მეშვეობით განვიხილავთ ლიტერატურული ჟანრის 10 ინტერვიუს, რომლებიც წარმოდგენილია ჩვენ მიერ არჩეულ სპეციალიზებულ (ნიშურ) ლიტერატურულ ჟურნალ “არილში”. ინტერვიუს ანალიზი რამდენიმე თემატური ასპექტით გამოყოფილ ქვეთავში იქნება გაერთიანებული,

თითოეულის სპეციფიკა კი საშუალებას მოგვცემს, რომ კვლევის ბოლოს ცხადად წარმოაჩინოს ინტერვიუს როგორც ანალიტიკური ჟანრის შესაძლებლობები და მისი საჭიროების განმაპირობებელი მიზეზები.

ჩვენი კვლევის საკითხი აქტუალურ ჭრილში იქნება განხილული, რაც ქვეთავების ურთიერთდაკავშირებულობიდან გამომდინარეობს ინდივიდის შემოქმედებითი რეფლექსიის და ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და ლიტერატურული პროცესების პრობლემებთან და მათი აღმოფხვრის გზებთან მიმართებაში. ინტერვიუში შევაფასებთ მწერლის პიროვნების, ლიტერატურული პროცესისა და სოციალური ცხოვრების ერთმანეთთან ასოცირების მიმართებებს, ინტენსივობასა და ხარისხს. ამასთან ერთად დავაკვირდებით, თუ როგორ ახერხებენ ჟურნალისტი და რესპონდენტი ინტერვიუს ფორმატში წამოჭრილი თემების საზოგადოებამდე რელევანტური გზით გადაცემას და ლოკალურ ველთან დაკავშირებას.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ლიტერატურული ჟურნალები მსოფლიო და ქართულ ჟურნალისტიკაში

ადამიანური ცივილიზაციის საწყისებიდან მოყოლებული, ყოველი ხანა საკუთარ მედიას ქმნის. ტერმინი „მედია“ მისი დღევანდელი შინაარსით, – რაც მოიაზრებს კომუნიკაციის პროცესის არხს და ე.წ. „გამტარ“ ინსტრუმენტს, – მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა. მისი წარმოშობა უკავშირდება ლათინურ სიტყვას "მედიუმი", რაც საშუალებას და შუამავალს აღნიშნავს. თუმცა სიტყვის შინაარსის მატარებელი ცნება თავად ტერმინის გაჩენამდე მრავალი საუკუნით ადრე ჩამოყალიბდა. დენის დეფლორის (2009) მიხედვით,

ჟურნალმა როგორც ყველა სხვა მედიასაშუალებამ, განვითარების თავისი საკუთარი გზა განვლო. პირველადი ცნობები გვაუწყებს, რომ სიტყვა „ჟურნალი“ (magazine) ინგლისურ ენაში 1500-იანი წლებიდან გვხვდება – იგი მომდინარეობს არაბული სიტყვიდან makhasin, რაც ნიშნავს საწყობს; ძველ დროში „მახასინში“/„მაღაზინში“ ინახავდნენ სხვადასხვა, ძირითადად საომარ ნივთებს. 1700-იან წლებში, როცა ინგლისში პირველი პერიოდიკის გამოშვება დაიწყო, განსხვავებული თემატიკის სტატიების საფუძველზე შედგენილ კრებულებს იგივე სახელი უწოდეს. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნისა და საზოგადოების სათანადო ეკონომიკურ და საგანმანათლებლო მზაობას, არ არის გასაკვირი, რომ ჟურნალი რეგულარული მედიუმის სახით ინგლისში დამკვიდრდა. პირველი პერიოდული ჟურნალის, „Review“, ავტორ-შემდგენელი დანიელ დეფო გახლდათ. იმ დროისთვის დეფო საპატიმრო სასჯელს იხდიდა მოწინავე სტატიის გამო, რომელიც კათოლიკურ ეკლესიაში კონკრეტული ქმედებების გამოაშკარავებას ემსახურებოდა. შესაბამისად, ჟურნალს თავიდანვე ჰქონდა აქტუალური პოლიტიკური და საზოგადოებრივი დატვირთვა. ერთი მეორეს მიყოლებით ინგლისში მრავალი ახალი პერიოდული გამოცემა გაჩნდა. იმის მიუხედავად, რომ დღეს პირველი ბეჭდური გამოცემები ჟურნალის სახელით მოიხსენიება, იმ დროს სიტყვა ჟურნალს „საწყობის“ დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვიდრე იმ ვრცელი იდეოლოგიის გამაერთიანებელი მედიუმისა, რასაც იგი დღეს წარმოადგენს. „Gentleman’s Magazine“ იყო დღევანდელი ჟურნალის შესაბამისი შინაარსის მქონე პირველი გამოცემა, რომელიც 1731 წელს ედუარდ კეივმა გამოსცა. მალევე მთელი ინგლისი მოიცვა კომუნიკაციის საშუალების ახალმა ტალღამ; საუკეთესო ავტორები ჟურნალში წერდნენ და აქვეყნებდნენ სიღრმისეულ, ანალიტიკურ ესეებსა და სტატიებს. ჟურნალი მისი არსით და უნიკალურობით განსხვავდებოდა გაზეთისგან. გარდა პოლიტიკური და ახალი ამბების მომცველი ტექსტებისა, ადრეულ გამოცემებში შევხვდებოდით განმანათლებელი და გასართობი დატვირთვის მქონე მასალებსაც, იქნებოდა ეს ფილოსოფიური ესეები, ყავის სახლის (ყავახანების) ჭორები თუ სხვა. თუმცა, ამ პერიოდის ჟურნალები არ

იყო გათვლილი მასობრივ მოხმარებაზე, არამედ მის სამიზნეს ინგლისის ერუდირებული და შეძლებული სოციუმის წარმომადგენლები შეადგენდნენ, შემოსავალი კი ხელმომწერების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ახალი მედიასაშუალების პირველივე წარმატება გამოიწვია იმ სწორად გათვლილმა მარკეტინგულმა გეგმამ, რომელიც გულისხმობდა ინგლისის მაღალი ფენის წარმომადგენლებზე მუშაობას და იმ პერიოდში ხსენებული ფენის შესაბამის სიმრავლეს.

მიუხედავად ინგლისის წარმატებული დებიუტისა, ამერიკამ ჟურნალის დამკვიდრების პროცესის ახალი ერა მარცხით დაიწყო. თავდაპირველად, 1741 წელს, ფილადელფიაში, ენდრიუ ბრედფორდმა გამოსცა “American Magazine, or a Monthly view of the Political State of the British Colonies”, რასაც მალევე მოჰყვა ბენჯამინ ფრანკლინის “General Magazine, and Historical Chronicle, for All the British Plantations in America”. ეს გამოცემები საკმაოდ ძვირი იყო, და მათ სამიზნე აუდიტორიას მცირე რაოდენობის ერუდირებული კოლონისტები წარმოადგენდნენ. საფოსტო სისტემის არაორგანიზებულობამ, მომხმარებელი აუდიტორიის მცირერიცხოვნებამ, რკინიგზის არარსებობამ და მაღალმა ფასებმა ეს ორი და შემდეგში დაფუძნებული ჟურნალები მალევე შეაჩერა. დაახლოებით 80 წლის განმავლობაში ყველა ჟურნალს ერთი და იგივე ბედი ეწია. ჟურნალების თანამედროვე ერა ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს, რომელთაგანაც ორივე ხასიათდება განსხვავებული ურთიერთობით მედიუმსა და სოციუმს შორის (ბარანი, 2009). ეს ყველაფერი დაიწყო 1821 წელს, როცა დახლებზე „Saturday Evening Post” გამოჩნდა და რომელიც მომავალი 150 წლის განმავლობაში უწყვეტად იბეჭდებოდა ამერიკაში. ამას მოჰყვა წარმატებული ჟურნალების სერია. გაიაფებულმა ბეჭდვამ და საზოგადოებაში განათლების დონის ამაღლებამ ამ პროცესს ხელი შეუწყო. ამასთან ერთად, დაიწყო ინდუსტრიალიზაცია, რამაც მეტი თავისუფალი დრო და შედარებით მაღალი ხელფასები მოუტანა ამერიკულ საზოგადოებას. თუმცა, ჟურნალის სამიზნე აუდიტორია კვლავ რჩებოდა ის მცირერიცხოვანი კონტინგენტი, რომლებიც მატერიალური კეთილდღეობით და

ერუდიციის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. ამის მიუხედავად, ჟურნალი ეროვნული მასობრივი მედიუმი არ გამხდარა სამოქალაქო ომის დასრულებამდე. მედიის მასობრივი ცირკულაციის ხანაში, ანუ 1865 წლიდან ამერიკაში 700 ჟურნალი იბეჭდებოდა, 1885 წლისთვის კი ამ რიცხვმა 3300-ს მიაღწია. გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ქალებისთვის განკუთვნილმა ჟურნალმა, რომელშიც შეგვხვდებოდა სუფრაჟის – ქალთა ხმის მიცემის უფლების სოციალური მოძრაობის – ამსახველი სტატიები. ნელ-ნელა დაიწყო მედიის მასობრივი მოხმარების ხანა, რაც განვითარებულ მოვლენათა ჯაჭვმა გამოიწვია. კერძოდ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი განათლების დონის მასობრივი გაუმჯობესება, საფოსტო ფასების დაწევა, რკინიგზის გაფართოება, ჟურნალებს შორის კონკურენციის ზრდასთან ერთად ფასების ვარდნა და სარეკლამო ბიზნესის ახლებური წარმოება გახდა. ამ მიზეზების ერთობლიობამ ჟურნალის მასობრივი მოხმარების მედიუმად გარდაქმნა შესაძლებელი გახადა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ტექნოლოგიური წინსვლის შედეგად, იერარქიულად მაღლა მდგომ ჟურნალს საფრთხე შეექმნა. ეს ძირითადად განპირობებული იყო ახალი საკომუნიკაციო საშუალების – ტელევიზიის სწრაფი პოპულარიზაციით. ტელევიზია უწყვეტი იყო, ხოლო ჟურნალი პერიოდულ მედიუმს წარმოადგენდა. ჟურნალს სჭირდებოდა რაიმე ნიშა, რაც მას უფრო სასურველს და მიმზიდველს გახდიდა მომხმარებლისთვის. გაზეთისგან განსხვავებით, ჟურნალი ბევრად მოქნილი იყო და არის; შესაბამისად, მან მთლიანად შეცვალა გამოცემის ფორმატი და დაიწყო სპეციალიზებული კონტენტის გამოშვება. “Project of Excellence in Journalism”-ის რედაქტორები (2004) წერენ ჟურნალის უპირატესობის გამომხატველ ნიშან-თვისებებზე. მათი თქმით, ჟურნალი ხშირად ცვლილებების წინასწარმეტყველია. როდესაც მასშტაბური სოციალური, ეკონომიკური ან ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია იწყებს კულტურის ფორმირებას, ჟურნალი ხშირად პირველი მედიუმი, რომელიც ამ ცვლილების პარალელურად მოძრაობს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ინდუსტრიის სტრუქტურაა. გაზეთებისგან განსხვავებით, ჟურნალების უმეტესობა არ არის კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს

მიჯაჭვული, არამედ კოცენტრირებულია ინტერესებსა და ნიშებზე. მწერლები ეძებენ ტენდენციებს, გამომცემლებს კი უფრო სწრაფად შეუძლიათ, დაამატონ და ამოიღონ სათაურები, რომლებიც ესადაგება კონკრეტული აუდიტორიის სეგმენტებს ან ინტერესებს, ვიდრე სხვა ნებისმიერი მედიუმის შემთხვევაში. რეკლამის დამკვეთებს, თავის მხრივ, შეუძლიათ თავიანთი მატერიალური ინტერესის გადატანა იმ დროის „ცხელ“ სათაურებზე, რომლებიც მიმართულია კონკრეტული დემოგრაფიული ჯგუფებისკენ (2004, ნაწილი 1).

თუ ამერიკისა და საქართველოს გამოცდილებებს ჟურნალის დამკვიდრებასა და გავრცელების მხრივ ერთ ისტორიულ პროცესში მოვაქცევთ, გარკვეულ მსგავსებებსა და განსხვავებებს დავინახავთ. მთავარი განსხვავება ის გეოპოლიტიკური ნიადაგია, რომლის ფარგლებშიც უწევდა ამ ორ მხარეს არსებობა და მოქმედება. ამერიკა თავისუფალი, დემოკრატიის გზაზე მდგომი სახელმწიფო გახლდათ, რომლის საზოგადოებასაც მედია ლიბერალურ, ანუ საბაზრო საწყისებზე წარმოედგინა, ხოლო საქართველოში ჟურნალის გავრცელების პერიოდი დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქვეყანა რუსეთის იმპერიაში მხოლოდ ერთ, ეთნიკურად და კულტურულად განსხვავებულ კუთხეს წარმოადგენდა. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყველა იმ წარუმატებელი მცდელობისა, რომ მოსახლეობაში ჟურნალის ფენომენის დამკვიდრების ხარჯზე ამაღლებულიყო ზოგადი განათლების დონე, გაძლიერებულიყო ეროვნული იდენტობის განცდა და ქვეყანა დაახლოებოდა ევროპულ კულტურასა და ღირებულებებს. წარუმატებელი სტარტის მიუხედავად, ისტორიას თუ გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ჩვენს ქვეყანაში ჟურნალი შვა ამ მედიუმის სავალალო საჭიროებამ. თამაზ ჯოლოგუას (2013) აზრით, ჟურნალის დამკვიდრების ისტორია საქართველოში ქართველი მოღვაწეების მიერ 1830-იან წლებში იწყება, და 1832 წლის აჯანყების ერთგვარ მოსამზადებელ ნიადაგს წარმოადგენს. ქვეყნის „გაშემუბული“ ეროვნული მოძრაობის ასაღორძინებლად საჭიროებამ მოითხოვა ისეთი პუბლიკაციის შექმნა, რომელსაც ნაციის საერთო ეროვნული მიზნების განტმკიცებაზე, ისტორიული ღირსების აღდგენასა და

სამომავლო საზოგადოებრივ გაუმჯობესებაზე ექნებოდა ორიენტირი აღებული. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ხალხის გამოღვიძება და რევოლუციური ცვლილებისთვის მომზადება. სწორედ ასე ჩაეყარა საფუძველი პერიოდიკას, რომლის დამაარსებელნიც ქართველი ინტელიგენციისა (სიტყვა “ინტელიგენცია” 1860-იან წლებში რუსმა მწერალმა ნ. ბობორიკინმა შემოიტანა, შემდეგ რუსულიდან გავრცელდა სხვა ენებშიც (მჭედლიშვილი, 2008), თუმცა თამაზ ჯოლოგუას მიაჩნია, რომ „ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს თვითონ ცნებას და არა იმას, თუ როდის “გაფორმდა” ეს ცნება ტერმინოლოგიურად (ჯოლოგუა, 2013) და განსწავლული პატრიოტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფისგან შედგებოდა. კულტურულ-ინტელექტუალური მეთაური 1832 წლის ამბოხის და ამასთან ერთად, პირველი პერიოდული გამოცემის “სალიტერატურონი ნაწილნი, თბილისის უწყებათანის” რედაქტორი საქართველოში სოლომონ დოდაშვილი გახლდათ. მას სჯეროდა, რომ “ზოგადად ქართული ჟურნალისტიკის უპირველესი დანიშნულება, და მისი არსებობის გამართლებაც იყო არა მარტო აქტუალური ინფორმაციის შეკრება-გავრცელება, არამედ შესაძლებლობების ფარგლებში განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება და, რაც მთავარია, ამ პრინციპების დამკვიდრება ფართო საზოგადოებრივი ფენების შეგნებაში (ჯოლოგუა, 2013). ამ ნააზრევის მიხედვით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჟურნალისტიკის როლი და მასზე დაკისრებული მისია ერთ-ერთ გადამწყვეტ რგოლს წარმოადგენდა ქვეყნის ნაციონალიზაციისა და სუვერენიტეტის აღსადგენ ბრძოლაში. სოლომონ დოდაშვილმა ჟურნალის თავდაპირველი მისია ასე განაცხადა: “მისცემოდა ესგუარ სასასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა, გავრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩუენისა და მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა(№5, გვ. 119, “სალიტერატურონი ნაწილნი, თბილისის უწყებათანის”).” ამ განაცხადში ნათელია, რომ ჟურნალის ხილულ მისიას წარმოადგენდა განათლების დონის ამაღლება, ქართული ენის განმტკიცება და ევროპულ სიბრძნეებთან და იდეალებთან დაახლოება. ამ ყველაფერთან ერთად

დაფარულ მიზანს კი ჟურნალის ხალხის აჯანყებისთვის და რევოლუციური ძვრებისთვის განკუთვნილ შესამზადებელ იარაღად გამოყენება წარმოადგენდა. ს. დოდაშვილის მიერ საგამომცემო კომისიისთვის მიცემულ ჩვენებაში ნათქვამია:

“1831 წელს მოვიდნენ ჩემთან თავადები ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი და მთხოვეს, დამეწერა აღმგზნები წერილები გაზეთში დასაბეჭდად და აგრეთვე სხვა თხზულებანი, რომელთაც შეეძლოთ მკითხველის აზრზე გავლენა მოეხდინათ.” 1832 წლის 1 იანვარს გამოიცა ჟურნალის პირველი ნომერი. სულ 5 ნომერის გამოშვება მოხერხდა, მათ შორის ბოლო კი 1832 წლის 1 მარტით

თარიღდება. ჟურნალის სექციები შემდეგნაირად იყო განაწილებული: (1)

სიტყვიერება; (2) აღმოსავლეთის ლიტერატურა; (3) სტიხტქმნილება; (4) პოემა; (5) ქართული ისტორია; (6) კრიტიკა; (7) ალეღორია.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პერიოდული გამოცემის დახურვისა ხელმომწერების არარსებობა და შესაბამისი არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობა გახდა. 1832 წლის შეთქმულება გაითქვა, პერიოდული გამოცემა წარსულს ჩაბარდა, სოლომონ დოდაშვილი სამუდამო გადასახლებაში მოჰყვა, და დაიწყო ოცდაათწლიანი ეროვნული მაჯისცემის შენელების ხანა, ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში უმომრატობით, ქართველების ნებაყოფლობითი რუსიფიკაციითა და კულტურული, ეროვნული და ისტორიული გადაშენების საფრთხისმოახლოებით არის მარკირებული. მიუხედავად იმ დიადი ჩანაფიქრისა და მიზნებისა, რაც უნდა განეხორციელებინა პირველ პერიოდულ გამოცემას საქართველოში, საბოლოოდ სრულებით სხვა შედეგი დადგა.

ინერტულობის პროცესი განსაკუთრებული სიმძაფრით 1932-1938 წლებში მიმდინარეობდა. არათუ ჟურნალისტური ძვრები, არამედ ამ დროის მონაკვეთში ერთი წიგნიც კი არ დაბეჭდილა ქართულ ენაზე. ჟურნალისტიკურ და კულტურულ-ეროვნულ პროგრესირებაში მოვლენების ძვრა კავკასიაში ახალი მმართველისა და მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის დანიშვნით დაიწყო. მან თავის უახლოეს თანამშრომლად დიმიტრი ყიფიანი დანიშნა. ვორონცოვის ევროპული განათლება და

საქართველოს კულტურისა და ისტორიის მიმართ პატივისცემა, ქვეყნის კულტურული და ეროვნული ღირებულებების აღდგენის გზაზე სასარგებლო აღმოჩნდა. ჟურნალი “ცისკარის” იდეა 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორის, მანანა ორბელიანის ლიტერატურულ სალონში დაიბადა. ლუკა ისარლიშვილის მოგონებაში ქართული ინტელიგენცია სწორედ ამ სალონში იყო შეკრებილი, როცა გაჟღერდა ჟურნალის იდეა: “ერთ საღამოს თქვეს - მოდი ერთი გამოცეთო, და ის იყო”. ინტელიგენციამ, ვორონცოვის შუამავლობით ხმა მიაწვდინა რუსეთის იმპერატორს და საქართველოში პერიოდიკის გამოცემის ნებართვა გამოითხოვა. სწორედ დიმიტრი ყიფიანმა ურჩია ვორონცოვს, რომ ჟურნალის რედაქტორი სახელოვანი გიორგი ერისთავი გამხდარიყო, რომელსაც მრავალი დამსახურება მიუძღვოდა ქართული თეატრისა და ლიტერატურული პროცესების აღორძინებაში. მიხეილ ვორონცოვის მიერ იმპერატორთან გაგზავნილი მოთხოვნის ანალიზისას (ჯოლოგუა, გვ.62) ვიგებთ, რომ განზრახული იყო ქართულ ენაზე ლიტერატურული ჟურნალის დაარსება, ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი უნდა ყოფილიყო გიორგი ერისთავი, ჟურნალის სახელი უნდა ყოფილიყო “ცისკარი”, იგი უნდა დაარსებულიყო წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ (ჯოლოგუა, 2009). 1851 წლის 1 მარტს, ჟურნალის გამოცემის მოთხოვნა წერილობით დააკმაყოფილა ა. ჩერნიშოვმა, თუმცა გარკვეული შეზღუდვებიც დაუწესა მომავლის ჟურნალს. ეს შეზღუდვები ძირითადად ცენზურადადებულ თემების ხელშეუხებლობას ეხებოდა, რაც მოიცავდა პოლიტიკური, ახალი ამბებისა და სამსჯელო ტიპის სტატიებს. “ცისკარი” 1852 წლიდან 1853 წლამდე ქვეყნდებოდა. საშუალოდ მისი გამომწერების რაოდენობა 150-დან 300-მდე მერყეობდა. მკაცრი ცენზურული შეზღუდვებიდან გამომდინარე, რომლის დარღვევის არც უფლება და არც მცდელობა არ ჰქონია გიორგი ერისთავს, “ცისკარი” იყო წმინდა წყლის ლიტერატურული ჟურნალი, რომლის დედაარსიც მაინც იკვეთებოდა პირველ პერიოდულ გამოცემასთან - საზოგადოების ეროვნული გაცისკროვნება და დაახლოება ევროპულ ღირებულებებთან. “ცისკარში” იბეჭდებოდა იმდროინდელი

ქართველი ინტელიგენციის ნამუშევრები და უცხოური თარგმანები. გიორგი ერისთავის “ცისკარი” ხშირად კრიტიკის ქარცეცხლში ეხვეოდა, რაც რამდენიმე ვითარებით იყო განპირობებული. მოწინავე მიზეზს ცენზურასთან გამკლავების უსახსრობა წარმოადგენდა, გიორგი ერისთავს თეატრის საკითხებთან ერთად უძნელდებოდა იმ ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ჟურნალში გადმოტანა, რაც თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული. ამასთან ერთად, ხელმომწერების რაოდენობა მაინც არ აღწევდა სასურველ ნიშნულს, და ხშირად ჟურნალის გვერდების შესავსებად დაბალი ღირებულების მქონე ლიტერატურული ნამუშევრები იყო გამოყენებული, რაც მოგვიანებით კრიტიკის გამომწვევი მიზეზი ხდებოდა.

“ცისკარი” 4 განყოფილებისგან შედგებოდა: (1) მხატვრული ლიტერატურა, სადაც ძირითადად იბეჭდებოდა როგორც ორიგინალური ქართული, ისე რუსული და უცხოური ლიტერატურის თარგმანები; (2) მეცნიერება და ხელოვნება (“ჰსწავლა და ხელოვნება”, იბეჭდებოდა დიდაქტიკურ-მორალისტური და შემეცნებითი ხასიათის ტექსტები, აგრეთვე, საისტორიო მასალები); (3) საოჯახო მეურნეობა-რჩევა-რეკომენდაციები საოჯახო მეურნეობის განვითარებისთვის; (4) ნარევი (“სხუა და სხუა ამბავი” იბეჭდებოდა სხვადასხვა ხასიათის სახის ოფიციალური თუ არაოფიციალური ცნობები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, ძირითადად ანდაზები და თავშესაქცევი ამბები) (ჯოლოგუა, 2013). მკვლევარები დღემდე ეჭვქვეშ აყენებენ გიორგი ერისთავის მიერ შერჩეულ გამოქვეყნებული ავტორების სიას და დღემდე არ არის დადგენილი, რატომ არ იბეჭდებოდა ისეთი მწერლების ნაშრომები, როგორებიც იყვნენ ნიკოლოზ ბერძნიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი და სხვები. დროის სვლასთან ერთად უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდებოდა ჟურნალის მისია-““ცისკარს” არა ჰქონდა ახლანდელი ჟურნალის ხასიათი; ის არ ეხებოდა დღის ვარამს, არ არჩევდა თანამედროვე საერო და საპოლიტიკო კითხვებს, არ იყო წარმომადგენელი არცერთი თაობისა, არცერთი პარტიისა, არცერთი საზოგადო აზრისა, ის უბრალო, ყოველთვიური კრებული იყო” (ი. მეუნარგია, 1954).

ამის მიუხედავად, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების დებიუტი სწორედ “ცისკარში” შედგა. ამასთან ერთად, “ცისკარი” იყო პირველი ქართული პერიოდული გამოცემა, რომელშიც ქართველი ქალების თხზულებები დაიბეჭდა. მათ შორის იყვნენ ელენე წერეთელი, დარია ერისთავი და სხვები. ამით საზოგადოების თვალში, ახალი სტიმული მიეცა ქართველ ქალთა მოღვაწეობას კულტურულ-სალიტერატურო ასპარეზზე (ჯოლოგუა, 2013).

მიუხედავად ბევრი გაუთვალისწინებელი შეცდომისა და თავზე დამტყდარი კრიტიკისა, “ცისკარმა” სასარგებლო როლი ითამაშა ქვეყნის ჟურნალისტური და კულტურული აღორძინების გზაზე. მან გამოაცოცხლა ქართველთა ინტერესი ლიტერატურული ნაშრომების მიმართ და აპათიურ მდგომარეობაში მყოფი ერი კრიტიკული აზროვნების ნაპერწკლებით დატვირთა. ილია ჭავჭავაძე დადებითად იყო განწყობილი გიორგი ერისთავის და მის ეროვნულ განვითარებაში შეტანილი წვლილის მიმართ. “ცისკარის” დასაცავად ის სწერდა: “მართალია, მაშინდელი “ცისკარი” მეტად ფეხმოკლე და ხელმოკლე იყო, მაგრამ ეს ეპატიება როგორც ახალ საქმეს, ჯერ უჩვეულოს და უასაკოს..”.თუ ერთმანეთს შევადარებთ “სალიტერატურონი ნაწილნი, თბილისის უწყებათანის” და “ცისკრის” ღვაწლს, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს რიგით მეორე ჟურნალი თანმიმდევრულად პროგრესირებადია ლიტერატურის რაობითა და ავტორებით, პერიოდულობის ხანგრძლივობით, გამომწერების რაოდენობითა და გავრცელების არეალითაც. 1853 წელს გიორგი ერისთავის “ცისკარმა” შეწყვიტა არსებობა.

თავდაპირველი შეჩერების მოწინავე მიზეზი გამომწერების და გამოსაქვეყნებელი მასალის სიმწირე იყო. თუმცა, ამას დაემატა მეფისნაცვალის ვორონცოვის ახალი მეთაურით ჩანაცვლება. ნ.მურავიოვი მტრულად იყო განწყობილი ყველა იმ კულტურულ-აღმავლობითი პროცესის მიმართ, რასაც საქართველოში მიხეილ ვორონცოვმა ჩაუყარა საფუძველი. შესაბამისად, გიორგი ერისთავის “ცისკარის” ხელმეორედ აღდგენის შესაძლებლობა წარსულს ჩაბარდა. 1854 წელს გიორგი ერისთავმა დატოვა თეატრი და იმის შემდეგ, რაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ

“ცისკარი” ვეღარ აღსდგებოდა, ჟურნალის გამოცემის უფლება თეატრის ახალ ხელმძღვანელს, ივანე კერესელიძეს გადააბარა.

ივანეკერესელიძის “ცისკარი” საქართველოს ისტორიის მესამე პერიოდული გამოცემაა, რომელიც 1857 წლიდან 1875 წლამდე გამოიცემოდა. ამ დეკადების მანძილზე ტურბულენტური ცვლილებები განიცადა როგორც პერიოდიკამ, ასევე იდეოლოგიურ-საზოგადოებრივმა პროცესებმა. ჟურნალის პროგრამის შედგენა დიმიტრი ყიფიანს დაეკისრა. დიმიტრი ყიფიანის მოთხოვნები, რომლებიც მოიცავდა ჟურნალის ახლებური კურსის აღებას, მნიშვნელოვან ცვლილებებს პროგრამაში და შინაარსობრივ განსხვავებულობას ძველი “ცისკარისგან”, არ იქნა დაკმაყოფილებული. რუსულმა ხელისუფლებამ ძველი “ცისკარის” აღდგენა მოითხოვა, და არა ახალი ჟურნალის იგივე სახელით აღმოცენება. დიმიტრი ყიფიანი ხვდებოდა, რომ ხელმომწერებზე დამოკიდებული ჟურნალი იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში უნაყოფო და მოწყვლადი იქნებოდა, რის გამოც მისი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ჟურნალი ყოფილიყო ამიერკავკასიის მთავარმმართველობის მფარველობის ქვეშ. იმის მიუხედავად, რომ ივანე კერესელიძე და სხვა ინტელიგენციის წარმომადგენლები შეაშფოთა დიმიტრი ყიფიანის მოთხოვნამ, რადგან რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა ჟურნალის შემადგენლობის განსაზღვრებისას საკმაოდ დიდ ძალაუფლებას მიანიჭებდა მმართველ ხელისუფლებას, მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული. საბოლოოდ, 1857 წელს, ივანე კერესელიძის რედაქტორობით გამოიცა ახალი “ცისკარის” პირველი ნომერი. ამ მოვლენას მოჰყვა იმ დროისთვის მეტად უცნაური ამბის განვითარება. “ცისკარის” პირველ ნომერს ნიკოლოზ ბერძნიშვილის სახით რეცენდენტი გამოუჩნდა. მან გაზეთ “კავკაზში” (1857, N4) გამოაქვეყნა წერილი, “რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ (ქართული ლიტერატურული ჟურნალის “ცისკარის” პირველი წიგნაკის გამოცემის გამო)”. მან ჟურნალში დაბეჭდილი ლიტერატურული მასალების შესახებ კრიტიკის ჟანრის სტატია გამოაქვეყნა და განიხილა “ცისკარის” ღირსებები და ნაკლოვანებები. “დროა, საერთო ძალისხმევით ხელი მოვკიდოთ ჩვენს მშობლიურ

ლიტერატურას, მივცეთ ბიძგი და ავიყვანოთ განვითარების იმ საფეხურზე, რომელსაც იგი იმსახურებს თავისი სიძველისა და შედარებითი სიმდიდრის გამო. ამასთანავე, გავხედავთ და ვურჩევთ ჟურნალის გამომცემელს უპირატესობა მიანიჭოს ორიგინალურ თხზულებებს, რომლებშიც აისახება ადგილობრივი ცხოვრება, ასე მდიდარი და მრავალფეროვანი პოეტური თავისებურებებით.” მიუხედავად, იმ დიდი წვლილისა, რომელიც “ცისკარს” ქართული ლიტერატურული აღორძინების პროცესში მიუძღვოდა და ამას ნიკოლოზ ბერძნიშვილიც აღნიშნავდა, კრიტიკოსის აზრით, ხშირად ზემოთხსენებულ ჟურნალში ისეთი რაობის ლიტერატურა ქვეყნდებოდა, რომელიც არ იყო აქტუალური იმ დროინდელი ქართული რეალობისთვის. ნიკოლოზ ბერძნიშვილი ხსნას დავიწყებული ქართული საუნჯის ხელახალ გაცნობასა და ისეთი ლიტერატურის თარგმანებში ხედავდა, რომელიც ქართველი ერისთვის ასათვისებლად ორგანული იქნებოდა. მან ივანე კერესელიძის მისამართით კრიტიკული რჩევაც გამოაქვეყნა: “პირველ რიგში, ხელი მოკიდოს მშობლიური ცხოვრების ასახვას, ჩვენი დიდი პოეტების: რუსთაველის, ჩახრუხაძის შესწავლას, ჩვენი ისტორიის, ეთნოგრაფიის დამუშავებას და სწორედ ეს მოუტანს უეჭველ გამარჯვებას მის მიერვე არჩეულ ასპარეზზე”. ნიკოლოზ ბერძნიშვილი პერიოდულად აქვეყნებდა “ცისკარის” გამოცემების მიმოხილვებს. ნელ-ნელა მას ოპონენტები გამოუჩნდნენ, რომლებიც “ცისკარის” ჟურნალშივე პოლემიკაში შედიოდნენ ნ. ბერძნიშვილის ცალკეული მოსაზრებებისა თუ პოზიციის წინააღმდეგ. ასეთი სახით დაიწყო ის პროცესი, რამაც სათავე დაუდო ქართულ ჟურნალისტიკაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების მეტ-ნაკლებად საფუძვლიან და სისტემურ ანალიზს და მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა კიდევაც კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების არეალი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც ირაკლი კერესელიძის „ცისკარს“ მოჰყვა იყო 1857 წელს ზემოთ ხსენებულ ჟურნალში გამოქვეყნებული „მოლაყბის“ ფსევდონიმით ფელეტონები, სათაურით „სალაყბოს ფურცელი“. მისი შინაარსის საფუძველზე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს წერილები ქართული

პუბლიცისტიკის სათავე და ჟანრის საწყისია. 1857-1866 წლებში „მოლავებს“ ფსევდონიმის ქვეშ 22 ნაშრომი გამოქვეყნდა. დღეს ცნობილია ორი ავტორი, რომლებიც ამ ფსევდონიმით აქვეყნებდნენ ნამუშევრებს. აქედან ერთი, თავად ივანე კერესელიძეა, რომელიც „მოლავის“ უმეტესი ქმნილების უკან დგას. 1858 წელს გამოქვეყნებული პირველი ნომრის „სალავოს ფურცელის“ გამოშვება კი დ. გამეზარდაშვილის ცნობების მიხედვით, მიხეილ თუმანიშვილს ეკუთვნის. იმის მიუხედავად, რომ 1850-იან წლებში „სალავოს ფურცელში“ კრიტიკული წერილები ქვეყნდებოდა სალიტერატურო და ქართველი საზოგადოების ცხოვრების შესახებ, ჟურნალი მკვეთრი და მტკიცე კრიტიკულ-ლიტერატურული თუ იდეოლოგიურ აზრთა მსვლელობის შეჯახების სამოქმედო არედ 1860-იანი წლების დასაწყისიდან იქცა (ჯოლოგუა, 2013). ამ მოვლენამ სათავე დაუდო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ინტენსიურ აზრობრივ და თაობრივ დაპირისპირებას, რაც „მამათა და შვილთა“ ბრძოლით არის ცნობილი. იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველად, ივანე კერესელიძე მზად იყო, რომ „თერგდალეულებისთვის“ გზა გაეხსნა თავისი ჟურნალის მეშვეობით, ევროპულ ღირებულებებზე განსწავლული ზემოთხსენებული ახალგაზრდები საკმაოდ კრიტიკულად უდგებოდნენ „ცისკარის“ არსს და მასში გამოქვეყნებული მასალის რაობას. ივანე კერესელიძეს არ ჰქონდა იმის ძალა, რომ გამკლავებოდა როგორც განმანათლებლების ახალ ტალღას, ასევე სტაგნატურ საზოგადოებას, რომლის დაკარგვის შიშის საფუძველზეც, ჟურნალში მრავალი სტატია იბეჭდებოდა „თერგდალეულების“ წინააღმდეგ. ეს პროცესი ორმხრივი იყო, რადგან ახალი თაობის მიერ დაარსებულ თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებში („დროება“, „კრებული“, „საქართველოს მოამბე“) ივანე კერესელიძის მიმართულებით ფართო მასშტაბიანი იდეოლოგიური ომი გაჩაღდა, რაც ლიტერატურულ-ესთეტიკურ საღვრებს გასცდა და მსოფლმხედველობრივ რეფორმაში გადაიზარდა. ეს პროცესი საბოლოოდ 1970-იანი წლების დასაწყისში, ილია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრეების გამარჯვებითა და ერთ დროს განმანათლებელი, თუმცა არსებობის ბოლო ჟამს რეტროგრადულად შექმნილი

“ცისკარის” დამარცხებით დასრულდა.

“ცისკარის” წარუმატებელი ფინალის მიუხედავად, პუბლიკაციამ ჟურნალისტური და ეროვნული მოძრაობის სამყაროს მიმდინარე ტემპთან აყოლების პროცესში საგულისხმო მწვერვალებს მიაღწია. ეს ნიშანსვეტები მოიაზრებს კრიტიკის ჟანრის ჩამოყალიბებასა და განვითარებას საქართველოში, რომლის რეზონანსულობიდან გამომდინარეც, “ცისკარის” დაარსებას შეგვიძლია კრიტიკის ჟანრის დაარსებაც მივაწეროთ. მეორე მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი პუბლიცისტიკის, როგორც ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ჟანრის სახით დამკვიდრებაა. “სალაყბოს ფურცელი” მეცხრამეტე საუკუნეში დახელოვნებული პუბლიცისტების ნაშრომების საყრდენ პროტოტიპს წარმოადგენს. მომავალში ამ ჟურნალისტური ჟანრის ფარგლებში საზოგადოებრივ აღორძინებაზე მიმართული მნიშვნელოვანი პუბლიცისტური ნამუშევრები გამოიცა. მესამე ნიშანსვეტად შეგვიძლია დავასახელოთ იმ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ეტაპის საწყისი, რაც “მამათა და შვილთა ბრძოლის” სასარგებლო შედეგებიდან გამომდინარე იშვა. ზემოთხსენებული პაექრობის მთავარი იარაღი სწორედ, რომ სიტყვა და ლიტერატურა იყო. შესაბამისად, დაპირისპირებული მხარეები უწყვეტ რეჟიმში ახალი სალიტერატურო თუ საზოგადოებისთვის განკუთვნილი ნაშრომებით უწყევდნენ ერთმანეთს კონკურენციას. შედეგად, მივიღეთ გამოცოცხლებული ქართული შემოქმედება და ამ შემოქმედების მიმართ კრიტიკული მიდგომის გამოვლინება. ივანე კერესელიძის “ცისკარმა” შესაძლოა ვერ გაუძლო ჟამთა ცვლას, თუმცა მისი მეშვეობით ქართული ჟურნალისტიკური მსვლელობა ეტაპობრივად გამოიძერწა.

1.2. ლიტერატურული პროცესი და ლიტერატურული ჟურნალი

როგორც აღნიშნავს ლიტერატურული პროცესის სოციოლოგი, დამოუკიდებელი მკვლევარი ანა ვიჩკიტოვა (2016), ლიტერატურას როგორც ინსტიტუტს თავისი უნიკალური ფუნქცია და სტრუქტურა გააჩნია, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მიზნებს და ამოცანებს, არამედ სპეციფიკურ მონაწილეებსაც თავიანთი სპეციფიკური

როლებით; ეს როლები კი, ვიჩქიტოვას აზრით, განსაზღვრულ კულტურაში და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში სპეციფიკურ ლიტერატურულ პროცესს ქმნის. XIX საუკუნის საქართველოში, ისევე როგორც XIX საუკუნის რუსეთში, ლიტერატურული პროცესის საუკეთესოდ ამსახველი იყო სწორედ სქელტანიანი ჟურნალები და არა წიგნის ბეჭდვა ან საგამომცემლო საქმე. ლიტერატურის სოციოლოგი მიიჩნევს, რომ იმ პერიოდის ჟურნალები შემდეგ ფუნქციებს ასრულებდნენ: (1) სელექცია – ნაწარმოებების, ტექსტების შერჩევა საერთო ნაკადიდან, რაც ექსპერტულ შეფასებასაც გულისხმობს, თანამედროვე ტექსტების სინქრონული კომპენდიუმის ჩამოყალიბება, ანუ ამ ტექსტების არა მხოლოდ მიმდინარე მომენტში შექმნა, არამედ უკვე შექმნილის რეპროდუცირება; (2) თანამედროვე ლიტერატურული პროცესის მისი დიდი – ან შესაძლოდ დიდი – მრავალფეროვნებით პრეზენტაცია; (3) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ავტორებისა და ტექსტების პატრონაჟი, დამწყები მწერლებისთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენა. ბევრი მკვლევრის აზრით, მე-19 საუკუნეში შექმნილი ეს ტრადიცია და ტენდენცია საბჭოთა პერიოდის ჟურნალებსაც დაედო საფუძვლად, თუმცა განსხვავება იყო თითოეული ამ კომპონენტის იდეოლოგიური მიზნებით ინტერმენტალიზაცია. იმავე ვიჩქიტოვას თქმით, პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველი წლები რთული აღმოჩნდა არა მხოლოდ ლიტერატურული ჟურნალებისთვის, არამედ მთლიანად ლიტერატურისთვის. იმდროინდელი ლიტერატურა მთელ საზოგადოებათან ერთად ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გათავისუფლებულიყო ყველაფერი საბჭოთასგან, თუმცა ახალი გარემოებებისთვის მზად არ იყო. გუდკოვი და დუბინი (Гудков, Дубин, 2003) აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ლიტერატურაცენტრიზმმა ლიტერატურა მიაჩვია, რომ არ ყოფილიყო დამოუკიდებელი. 90-იან წლებში როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ჟურნალები, ლიტერატურული პროცესის გუშინდელი ფლაგმანები დაფინანსებას მოკლებულნი აღმოჩნდნენ და ამ სფეროში ღრმა კრიზისმა დაისადგურა; ეს იყო მნიშვნელოვანი კულტურული დეგრადაცია. რუსეთში ეს პროცესი გეოგრაფიულად უფრო ფართო იყო. რეგიონული ჟურნალები დაიხურა, მოსკოვისა და პეტერბურგის

გამომცემლობებმა კი სააქციო საზოგადოებების სტატუსი შეიძინა და თვითუზრუნველყოფაზე გადავიდა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა. ვიჩქიტოვა წერს, რომ ჟურნალების რესურსები იყო მათი შენობები და სიმბოლური კაპიტალი – ავტორიტეტი, რომელიც ამ ჟურნალებმა საბჭოთა და გარდაქმნის დროს მოიპოვეს. კრიზისი შეეხო ლიტერატორის პროფესიასაც, მან უწინდელი სტატუსი და პრესტიჟი დააკარგა, რადგან განადგურდა ის ინსტიტუტები, რომლებიც ამ პროფესიის პრივილეგიების მთელ რიგს განაპირობებდა (Гудков, Дубин, 2003: 34–66). ჟურნალების წინაშე ასეთი პერსპექტივა იშლებოდა – ან მაღალ ლიტერატურაზე უნდა ეთქვა უარი და იაფფასიანი დეტექტივები და „სასიყვარულო“ რომანები ებეჭდა ან დოტაციაზე გადასულიყო. ამ ორივე გზას თავისი მიმდევრები გამოუჩნდა. რუსეთში 2003 წლამდე ჯ. სოროსის ფონდი აფინანსებდა ლიტერატურულ პროცესს, შემდეგ კი, რაც „ღია საზოგადოებამ“ რუსეთი დატოვა, ბეჭდვითი სიტყვის /პრესის სამინისტრომ სცადა მისი ჩანაცვლება სახელმწიფო გრანტებით, თუმცა ისინი არაეფექტიანი აღმოჩნდა მათი სიმცირის გამო.

საქართველოში ჟურნალების დეგრადაციის პროცესი ჰგავს იმ სურათს, რომელიც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავრცელდა. თუმცა ეს პროცესი არ ყოფილა მხოლოდ ძველი გამოცემების დეგრადაცია, – საქართველოში სცადეს, ლიტერატურის პროცესისთვის ახალი „კალაპოტი“ შეექმნათ ჟურნალ „არილის“ სახით.

1.3. ლიტერატურული ჟურნალი „არილი“

„არილი“ არის გამოცემა, რომლის სტატუსიც, მისი შინაარსის შესაფერისად, შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც საზოგადოებრივი ლიტერატურული ჟურნალი. – „არილი“ ბოლო 30 წლის განმავლობაში გამოიცემა, რაც მას თანამედროვე საქართველოს ისტორიის ნაწილად აქცევს. მისი პირველი ნომერი 1994 წელს გამოვიდა, იმ დროისთვის იგი წარმოადგენდა ყოველ კვირეულ ლიტერატურულ

გაზეთს. შემდეგში „არილმა“ შეცვალა გამოცემის ტიპი და პერიოდულობა და მკითხველ აუდიტორიას ყოველთვიური ჟურნალის ფორმატით წარუდგა. რვაწლიანი პაუზის შემდეგ, ჟურნალი 2013 წელს დაბრუნდა კულტურის სამინისტროს მხარდაჭერის წყალობით, და განაგრძო მისი მიზნების ფარგლებში საქმიანობა. თუმცა, სწორედ „არილის“ 30 წლის დაბადების დღის თავზე, მას შეუწყდა უწყებრივი დაფინანსება, რის გამოც ჟურნალის არსებობას საფრთხე შეექმნა. დაფინანსების შეჩერებამ და „არილის“ დახურვის საფრთხემ უამრავ ადამიანს პროტესტის გრძნობა გაუჩინა, და სწორედ მკითხველთა შემწეობით გააგრძელა ჟურნალმა თავისი საქმიანობა.

ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში შექმნილი პირველი ჟურნალები, „არილი“ 30 წლის განმავლობაში თავისი სარედაქციო პოლიტიკის ფოკუსში აქცევდა ქართველი მკითხველისთვის თანამედროვე და კლასიკური მსოფლიო ლიტერატურის გაცნობას მრავალი კუთხითა და ასპექტით. „არილში“ შევხვდებით როგორც ცნობილ, ისე დებიუტანტ შემოქმედებს, მკითხველისთვის ნაცნობ და მეტ-ნაკლებად ნაცნობ მწერლებს, ასევე ისეთ უცხოელ ავტორებს, რომლებიც მიზან მიმართული პოპულარიზაციის გარეშე, იშვიათად აღწევდა ქართველ მკითხველამდე.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, ანუ რუბრიკაციის მიხედვით ჟურნალი მრავალი სეგმენტისგან შედგება: პუბლიცისტიკა (ესეისტიკა), კრიტიკა (ანოტაცია, რეცენზია, კრიტიკული სტატია), ჟურნალისტიკა (ინტერვიუ) პროზა, პოეზია, თუ სხვა... როგორც სპეციალიზირებული ჟურნალი, იგი შუამავლის როლს ასრულებს ქართულ საზოგადოებასა და ლიტერატურულ სამყაროს შორის.

1.4. ინტერვიუ, ლიტერატურული ინტერვიუ და ლიტერატურული პროცესი

დღეს ინტერვიუ თანამედროვე მედია-დისკურსის განუყოფელი ნაწილია, იმდენად ორგანული, სტრუქტურულად და ფუნქციურად იმდენად შეუცვლელი, რომ ინტერვიუს გარეშე მედიატექსტის წარმოდგენა შეუძლებელია. თუმცა, ჟურნალისტიკის ხუთსაუკუნოვან ისტორიაში ინტერვიუს არსებობა მხოლოდ ას

წელიწადს ითვლის. ამ ქვეთავში ჩვენ შევხებით, ერთის მხრივ, ზოგადად ინტერვიუს და, მეორეს მხრივ, საკუთრივ ლიტერატურულ ინტერვიუს.

ჟურნალიტიკისა და პუბლიცისტიკის ისტორიკოსები ინტერვიუს დაბადების საკითხს ამ სიტყვის ეტიმოლოგიაში ეძებენ. „ინტერვიუ“ ორი ლექსიკურ-მორფოლოგიური ერთეულის კომპოზიტია: inter (ურთიერთ-, შორის) და view (შეხედულება, მოსაზრება). თუ ჩვენ ინტერვიუს შევხედავთ როგორც იმგვარი ინფორმაციის გაცვლის პროცესს, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული პირადი, სუბიექტური შეფერილობა აქვს, მაშინ ამ ჟანრის ისტორიის დასაბამი უძველეს ძეგლებში უნდა ვეძებოთ. მკვლევარი ელენა სელიუტინა (2022) ამგვარ ძეგლებად ასახელებს: პლატონისა და სოკრატეს თხზულებებს, ფილოსოფიური დიალოგის მდინარებას, ავგუსტინეს, ბლეზ პასკალის, დევიდ იუმის, ფრიდრიხ შლეგელის, დენი დიდროს და სხვათა ნაწარმოებებს. თუმცა თანამედროვე ინტერვიუს პროტოტიპი ოსკარ უაილდის მიერ მოგონილი სინთეზური ჟანრია – ნარკვევ-დიალოგი, რომელიც უაილდმა გაზეთ „The Women’s World“-ისთვის (1884) გამოიგონა და რომელიც ძალიან მალე მთელ ევროპაში გავრცელდა (Fitzsimons 2015). იმ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში, რომელსაც საქართველო განეკუთვნებოდა მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ენციკლოპედიურ ლექსიკონებში ტერმინი „ინტერვიუ“ არ გვხვდება; არის მხოლოდ საცნობარე სტატიები „საუბრის“, „დიალოგის“ შესახებ, ასევე „პორტრეტი“, რომელიც აღნიშნავს „ადამიანის ზნის, ყოფისა და გარეგნობის აღწერას“ (ბროკჰაუზი, Брокгауз 1898: 323), თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ პირად მიმოწერასა და დღიურებში ამ სიტყვის, „ინტერვიუ“, მოხსენიება მიუთითებს მის ხმარებადობაზე არა მხოლოდ ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში.

მედია ჟანრების თანამედროვე მკვლევრები (მაგ., ტერტიჩნი) ინტერვიუში ორ პლანს გამოჰყოფენ: მეთოდოლოგიურს და ჟანრულს. ტერტიჩნის (2017, გვ. 89) აზრით, ინტერვიუს როგორც ჟანრის ჩამოყალიბება გამოწვია იმ გარემოებამ, რომ მასალების

მთელი რიგი, რომლების მომზადების პროცესი (მონაცემების შეგროვება) ინტერვიუს (კითხვა-პასუხის) მეთოდს ემყარებოდა, თავისთავად ახდენდა ამ დიალოგური ფორმის ფიქსაციას ტექსტურ ნაწილად. მედიაჟანრების თეორია ორი ტიპის ინტერვიუს იცნობს: ინფორმაციულს და ანალიტიკურს. ინფორმაციულად მიიჩნევა ინტერვიუ, რომელსაც არ აქვს ე.წ. კომენტარის, თვალსაზრისის ასპექტი (ტერტიჩნის განმარტება – ნ.ა.), ანუ ინტერვიუ, რომელაც აქვს „რა? სად? როდის?“, მაგრამ არ აქვს „რატომ? როგორ? ეს რას ნიშნავს?“. მე-19–მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ინტერვიუ უპირატესად აღიქმებოდა როგორც მეთოდი, როგორც მონაცემების შეგროვება და არა როგორც მედიატექსტური ფორმა. თუმცა, იმ დროისთვის მედიაში პოპულარული იყო ინტერვიუს სპეციფიკური ფორმა – ანკეტა, რომელიც ერთი შეკითხვის ქვეშ აერთიანებდა ბევრი ადამიანის მოსაზრებას. როგორც აღნიშნავს მკვლევარი ე. ვახნენკო (2019) ანკეტის რესპონდენტები ყველაზე ხშირად მწერლები იყვნენ, ადამიანები, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრის შექმნის ან გამყარების პეროგატივა ჰქონდათ (მაგალითად ვახნენკოს მოჰყავს თემა „მწერალი ომში“.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობას, სელიუტინას (2022) აზრით, ინტერვიუ აინტერესებს როგორც ლიტერატურული პორტრეტის მოდელირების მნიშვნელოვანი მდგენელი, როგორც შესაძლებლობა, მოხდეს ნებისმიერი ტიპის მწერლის ხედვების სისტემატიზება, იქნება ეს თემები შემოქმედებითი, ესთეტიკური თუ სოციალური; როგორც ლიტერატურის ენის თავისებური ტესტი. რეიტბლატისთვის (2021) ინტერვიუ ავტორის ლიტერატურული რეპუტაციის ყველაზე ზუსტი ანარეკლია, რადგან მისი აზრით ინტერვიუ გადმოსცემს ისეთ ინტერპრეტაციულ მახასიათებლებს ამა თუ იმ ავტორის შემოქმედების შესახებ, როგორსაც ვერ გადმოსცემს და ვერ შექმნის სხვა სახის რეფლექსიური ტექსტი (რეცენზია, კრიტიკა, მწერლის პორტრეტი...). ლიტერატურულ ინტერვიუს სელიუტინა უწოდებს ინტერვიუს, რომლის რესპონდენტიც არის ლიტერატორი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ფიგურა, ლიტერატურული პროცესის აქტორი.

2. კვლევის დიზაინი

კვლევა თავისი მეთოდოლოგიით თვისებრივია. კვლევის მიზანია ინტერვიუს ჟანრის სპეციფიკის წარმოჩენა სპეციალიზებულ ლიტერატურულ ჟურნალში, მისი ფუნქციური და სტრუქტურული მდგენელების იდენტიფიცირება და ანალიზი. ამ მიზნის მისაღწევად ვიყენებთ ტექსტების ჟანრობრივ და დისკურსულ ჩარჩოანალიზს.

საკვლევი შეკითხვებია:

1. წარმოადგენს თუ არა ლიტერატურული ინტერვიუს მედიუმი ლიტერატურული პროცესების ინსპექციის საშუალებას საზოგადოებრივ ჭრილში
2. არის თუ არა რესპონდენტი აღქმული როგორც სოციუმის ნაწილი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია განზოგადებული სურათის წარმოება
3. აქვს თუ არა ინტერვიუს ჟანრს შესაძლებლობა, რომ მისი ფორმატიდან გამომდინარე წარმოაჩინოს რესპონდენტის პიროვნების, ლიტერატურული პროცესების და სოციალური ცხოვრების ერთობლიობა
4. გვაძლევს თუ არა ინტერვიუს ანალიტიკური მხარე აქტუალურ ყოფით და სულიერ საკითხებში ჩაღრმავების საშუალებას

3. კვლევის მეთოდი

„არილის“ 30-წლიანი არსებობის განმავლობაში, მასში გამოქვეყნებული ინტერვიუს ჟანრის მასალებიდან, კონკრეტული კანონზომიერების ხელმძღვანელობით, გამოვყავით 10 პუბლიკაცია, რომლებიც ჩვენი კვლევის ფოკუსში მოექცა. მათი არჩევა და დახარისხება წინასწარმედგენილი პუნქტების გათვალისწინებით განხორციელდა. კანონზომიერების პუნქტები მოიცავს იმას, რომ ინტერვიუს წამყვანი აუცილებლად

ქართველი ჟურნალისტი უნდა იყოს, რადგან ჩვენი კვლევა ლოკალურ ფარგლებში ხორციელდება, მისი შედეგები და მიზნობრიობაც ლოკალურ საზოგადოებაზეა მიმართული. რაც შეეხება რესპონდენტს, მისი ეროვნული განსხვავებულობა კვლევისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, პირიქით, მეტად დაგვეხმარება კულტურული მრავალფეროვნების და ჟურნალისტური პროდუქტის კომუნიკაცივისტურ სიღრმეებში ჩასახედად. „არილში“ გამოქვეყნებული სხვადასხვა რაობის ინტერვიუს ჟანრის პროდუქტებიდან, რაც მოიცავს ბლიც-ინტერვიუს, სერიულ ინტერვიუს, პორტრეტს, თარგმანს და სხვ. ავარჩიეთ მხოლოდ ინტერვიუთი დარუბრიკებული ნიმუშები, რადგან სწორედ ისინი გვთავაზობენ ნაკლებად კონკრეტულ, მეტად სიღრმისეულ ფორმალურ ინტერაქციას, რაც იძლევა მეტ რესურსს და ერგება ჩვენი საკვლევი საკითხის ფორმატს. იქიდან გამომდინარე, რომ „არილი“ ლიტერატურულ ჟურნალს წარმოადგენს, მასში გამოქვეყნებული ინტერვიუები რაღაც თვისებით მაინც უკავშირდება ლიტერატურის რომელიმე განშტოებას, შესაბამისად, კვლევის დასაწყისშივე ეს საერთო მახასიათებელი ყველა ინტერვიუს აქვს. ჩვენი ერთ-ერთი მისიაა, რომ წინასწარშედგენილი კითხვების მეშვეობით, ინტერვიუებში მოვიძიოთ პასუხები, და შემდეგ გამოვავლინოთ მსგავსება და განსხვავება, თავისებურები, იქნება ეს ინტერვიუს შინაარსობრივ, თემატურ, დამოკიდებულებრივ, თუ ხასიათობრივ ჭრილში მასში მონაწილე ყველა მხარესთან დაკავშირებული. დისკურსული ანალიზი დაგვეხმარება, რომ ინდივიდის იდენტობის რეფლექსიური საწყისებიდან განზოგადებული მოდელი და განსხვავებულობის წერტილები გამოვკვეთოთ, რაც საბოლოოდ მოგვცემს საშუალებას, რომ წარმოვაჩინოთ საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული და სოციალური მდგომარეობის სურათი.

არჩეული ინტერვიუს ნიმუშებს თემატური კატეგორიზაციის მიხედვით განვიხილავთ, რომელიც თავისმხრივ წარმოქმნის ქვეკატეგორიებს. თემატური ნიშნით დაჯგუფებისას, გამოვყავით რამდენიმე სათაური: **პერსონალური** **გამოცდილებების რეფლექსირება კრეატიულ პროცესში; ლიტერატურული სტიმული;**

ქალთა გამოძახილი ლიტერატურაში; ლიტერატურული პროცესების პრობლემები და გადაჭრის გზები დღევანდელ საზოგადოებაში; ჟურნალისტის და რესპონდენტის თანხვედრა კომუნიკაციურ პროცესში; ერთი ინტერვიუ შესაძლოა რამდენიმე კატეგორიაში იქნეს გაანალიზებული, რადგან მასში წამოჭრილი თემების რაობა შესაძლოა სხვადასხვა საკვლევ საკითხს ესადაგებოდეს.

4. დისკურსული ანალიზი

4.1 პერსონალური გამოცდილებების რეფლექსირება კრეატიულ პროცესში

ინდივიდის ცხოვრებაში ინდივიდუალური გამოცდილებები, ხშირად კრეატიული პროცესის საწინდარი ხდება. მიუხედავად ადამიანების მრავალსახეობისა, ჩვენი მიზანია, რომ ამ ქვეპუნქტში შერჩეული რესპონდენტების პასუხების დისკურსულ ანალიზზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ დამოუკიდებელი რეფლექსირების პროცესი, აღმოვაჩინოთ ხილული კონტრასტი და მათ შორის, გადაკვეთის წერტილი .

რ. ანდრო ბუაჩიძე/ ჟ. გუგა მგელაძე – ანდრო ბუაჩიძის შემოქმედებითი ცხოვრების საწყისი ემთხვევა საქართველოს ისტორიის შავ-ბნელ პერიოდს -80-იანების "პერესტროიკას" და 90-იანების უგზო-უკვლო მომავალს ქართველი ერის ცხოვრებაში. ინტერვიუში გუგა მგელაძესთან ანდრო საუბრობს მისი შემოქმედებითი სტილის ჩამოყალიბების შესახებ, რასაც ხელი შეუწყო ავტორიტარული მმართველობის ლიტერატურულ-კრიტიკულმა ნაშრომებმა, როგორიცაა ჯორჯ ორუელის „1984“, ფრანც კაფკას „კოშკი“, ანდრეი პლატონოვის „ჩევენგური“, კინემატოგრაფიაში ისეთი რეჟისორების ფილმებმა, რომლებიც არიან ანდრეი ტარკოვსკი, ოთარ იოსელიანი, ალექსეი გერმანი. რეპრესირებული ოჯახის ფონმა, ქვეყნის სავალალო, უიმედო ყოფამ და კულტურულ-მსოფლმხედველობრივი ჭრილის ფორმირებამ განაპირობა ანდრო ბუაჩიძის წერის მიმართულების ჩამოყალიბება, რომელიც გვევლინება ფუნდამენტალურად დაცლილი ნათელი

მომავლისგან. ეს ყველაფერი მის შემოქმედებას ფონად სდევს და ისახება უპერსპექტივო, ეგზისტენციალური კრიზის გამოვლინებებით. ამის მიუხედავად, მისი ნააზრევინიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანდრო ბუაჩიძეს მაინც სურდა გარკვეულ ჩარჩოში მოქცევა, რათა არ გადავარდნილიყო უიმედობის მორევში, რამაც ამბივალენტური თვისება შესძინა მის შემოქმედებას: „რაც შეეხება ფორმას, რამდენადმე ინტუიციას ვენდობოდი, ინტუიცია კი მკარნახობდა, არ დამეკარგა ნათელი აზროვნება, ლირიზმი და ემოციურობა. ვწერდი როგორც თავისუფალ, ისე კონვენციურ ლექსებს“...ანდრო ბუაჩიძე ინტერვიუში ინტერტექსტუალურ პარალელს ავლებს სარტრის გამონათქვამთან: "ადამიანი დასჯილია და დაწყევლილი თავისუფლებით, ის გადაგდებულია მისთვის უცხო სამყაროში", რომლის შინაარსთან საკუთარი თავის მდგომარეობას აიგივებს, რაც შემდგომში მის ლიტერატურაშიც ვლინდება. ლირიკული რეფლექსირება მის შემთხვევაში დეფორმირებული ქვეყნის არეკვლის პოეტური მეთოდია. ანდროს შემოქმედება, ემოციურად უკავშირდება ქვეყნის სისტემური რღვევის პროცესს და მიუხედავად იმისა, რომ მის პოეზიას არ აქვს გამოკვეთილი პატრიოტული პათოსი, შეგვიძლია, რომ ავტორის შემოქმედება ქართველობის მდგომარეობის ლირიკულ გამომხატველობად შევაფასოთ.

რ. ოთარ ჭილაძე/ ჟ. ქეთევან სადღოზელაშვილი - ოთარ ჭილაძე ინტერვიუში კრეატიულ პროცესს მხატვრულ ჭრილში აღწერს: "მწერალს ყველაფერი ესაზღვრება და მისი ვალია, დასაზღვრებულის გადატანა ფურცელზე". ამ ფრაზის მიხედვით, ავტორი არამხოლოდ ენიგმატურ ელფერს სძენს საკუთარი ფიქრების და შემოქმედების ფორმაციას, არამედ მწერალს წარმოაჩენს, როგორც განსაკუთრებული მისიის მატარებელ პერსონაჟს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კონტროვერსიული განმარტების მიუხედავად, ოთარ ჭილაძე ინტერვიუს მსვლელობისას კიდეც რამდენიმეჯერ მიუთითებს საკუთარი შემოქმედების დაბადების საწყისზე. მისი თქმით წერის პროცესი ის სასიამოვნოდ გამაბრუებელი შეგრძნებაა, როცა ღრმად ხარ

დარწმუნებული, რომ სწორედ ახლა აკეთებ იმას, რისი გაკეთებაც სულ გინდოდა, ხოლო დამთავრებისთანავე ეჭვი გიპყრობს, ანუ დარწმუნებული ხარ, რომ ეს შენი ყველაზე დიდი მარცხია. ეს თითქოს პარადოქსული შეფასება, მეტყველებს ავტორის ტურბულენტურ, ბიპოლარულ, ამასთან ერთად მშვიდ და გაწონასწორებულ ბუნებაზე, რაც წერის პროცესის დროს იჩენს თავს. ოთარ ჭილაძესთვის ეს პროცესი ერთგვარ ინდიკატორს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც შეიძლება განისაჯოს მწერლის შემოქმედების ხარისხი " – თუკი შენმა ნაშეიერმა თავის მხრივ ეჭვი არ გაგიჩინა, ჩათვალე რომ ამაოდ დამშვრალხარ". ტექნიკური რევოლუცია ოთარ ჭილაძის ფურცელს და კალამს არ ეხება, რადგან მისთვის ეს სულიერებასთან ჩარევის ანალოგიაა. მისი მტკიცე ბუნება ვლინდება იმ პროცესშიც, რასაც ავტორი მწერლის ომს უწოდებს, – "მწერლის ომი წერაა", როცა მისი სიტყვის დამორჩილების მეთოდზე საუბრობს: „შეურაცხადი შეიძლება იყო, რადგან შეურაცხადობა მწერლობაში ძალიან პირობითი ცნებაა, მაგრამ არაფრით არ შეიძლება, მწერალმა ხელი აიღოს სიტყვასთან ჭიდილზე. უსასრულოდ უნდა იწვალო, ვიდრე არ დაიმორჩილებ. ერთი და იმავე ფრაზის ყველა შესაძლებელი ვარიანტი უნდა ეძებო უსასრულოდ." ოთარ ჭილაძე, მისი მწერლის მოვალეობის იდეოლოგიის გამოხატვისას, ყურადღებას ამახვილებს მწერლის და მკითხველის გადანაწილებულ ვალდებულებებზე: "მწერლის მოვალეობა შექმნაა და არა შექმნილის აღწერა. მე თუ მკითხავთ, ეს უფრო თქვენი პრეროგატივაა."

რ. თამრი ფხაკაძე -/ ჟ. თაკო წულაია - ავტორის პერსონალური გამოცდილებები მაგიური რეალიზმის სახით იჩენს თავს მის რომანში. მის მიერ ინტერვიუში გაჟღერებული ფრაზა, "ყველა ადამიანი ფლობს რაღაც ოდენობით მაგიას, ყველა ადამიანს თავისი ბედისწერა აქვს, ბედისწერას კი - თავისი მაგია" - ასახავს თამრის სუბიექტურ მრწამსს და აღტაცებას მასზე მაღალი სუბსტანციების მიმართ, რომელსაც ეჭვგარეშე იღებს საკუთარ შემოქმედებით პროცესში. რომანის კრეატიულ პროცესში გამოიკვეთა ქართული ენობრივი თავისებურებებით მოხიბლული ავტორის

დამოკიდებულება, რაც სიტყვა "თურმე"-ს ორ განსხვავებულ მნიშვნელობას ეფუძნება, სადაც ერთგან „თურმე“ "pre" მდგომარეობას აღნიშნავს, მეორეგან კი "post". "პირველი - მოლოდინის, ცნობისმოყვარეობის, აღმოჩენების წყურვილის "თურმე", მეორე - დაღლილი, დამცხრალი, დაბრძენებული, გამოსათხოვარი სიტყვა". ავტორის ამ შეფასებიდან გამომდინარე, გასაგები ხდება მისი რომანის მოდემის გვარის ფუძე - „თურმელები“, რაც შეგვიძლია დავუკავშიროთ სიტყვის მომაჯადოებელ გავლენას ავტორის ცნობიერზე და თავად "თურმელების" მოჯადოებულ ატმოსფეროს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მაგიური რეალიზმი ავტორისთვის არ არის მხოლოდ ჟანრობრივი განსაკუთრებულობა, არამედ ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. რეალური და მაგიური ის დიქტომიური წყვილია, რომელიც ყოველდღე ახსენებს მწერალს თავს - „მზერა, რომელიც გატყვევებს. ხმა, რომელიც გიმორჩილებს. წამი, რომელსაც ვერასდროს დაივიწყებ. განუმეორებელი სიტყვა, რომელიც განუმეორებელ წამს ითქვა. გადამდები სიცილი და ცრემლი. სიკვდილი, რომელმაც თვალებში ჩაგხედა და უკან დაიხია. წერტილისხელა სინათლე შორს, წყვდიადში, რომელიც შენი იმედი ხდება... უამრავი რამ. ეს ყველაფერი ბედისწერა და მაგიაა. აუხსნელი. შეუცნობელი.”

რ. თამთა მელაშვილი/ ჟ. გვანცა თულაშვილი - ავტორის შემოქმედებითი პროცესი მოიცავს როგორც ტექნიკური მხარის სუბიექტური სრულყოფილების ზღვრამდე აყვანას, ასევე იმ ემოციურ კავშირს, რისი ვერ პოვნის შემთხვევაშიც, ვერ შეიქმნება ლიტერატურა. ემოციური კავშირი შესაძლოა ერთი შეხედვით ისეთ მცირე მოვლენას უკავშირდებოდეს, როგორიც ბოლო შემთხვევაში ბიოგრაფიული პირის - მინადორა ორჯონიკიძის მიერ კაბის შეძენის აქტმა გამოიწვია, რამაც სული ჩაუდგა თამთა მელაშვილის პიესას „კაბა“ - „ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა ჩემზე, უცებ გახდა ეს ქალი ჩემთვის ცოცხალიც და ხელშესახებიც, უცებ გაადამიანურდა.“ ამ ემოციური ბმის საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თამთა მელაშვილისთვის შემოქმედებითი ძვრები რეალური სიღრმეებიდან იღებს სათავეს,

ანუ მისი ხელოვნება ერთგვარი ინტერპრეტირებული რეალობის გამოვლინებაა. თამთა მელაშვილის შემოქმედებითი პროცესი ასაკსა და მიმდინარე ცხოვრების ეტაპთან ერთად იცვლება. პიესა "კაბა"-ში დედობის თემის ფურცელზე გადატანა შინაარსის გადმოცემის საჭიროებიდან გამომდინარეა, თუმცა, მწერლის ცხოვრებაში ანალოგიური ეტაპის თანხვედრამ, რაც მშობლის როლის მორგებას გულისხმობს, გააერთიანა ეს ორი მოწოდება - დედა და მწერალი, და პიესა "კაბა" -ში, მისი სურვილისამებრ, სტერეოტიპებისგან დაცლილი დედა-შვილობის რეპრეზენტაცია მოახდინა. “ვეცადე, კლიშეებისგან რაც შეიძლება თავისუფალი ვყოფილიყავი. დედობა არაა მარტივი თემა და არც მასზე წერაა მარტივი.” მის შემოქმედებაში იცვლება სტილისტიკა, ნარატორი, გრამატიკული პირი, და სხვა ტექნიკური დეტალები, რომლებთან ადაპტაციაც მწერლისთვის შესაძლებელია, თუ ერთი უცვლელი კომპონენტი, პერსონაჟთან სიახლოვე ნარჩუნდება.

რ. ჯონ კინსელა / ჟ. თაკო წულაია - ჯონ კინსელა ინტერვიუში თაკო წულაიასთან საუბრობს მისი პოეზიის შექმნის უცვლელ წინაპირობაზე, ლექსის ორაზროვნებაზე. მისთვის შემოქმედებითი ცხოვრება პირდაპირი რეფლექსირებაა მისი პერსონალური ცხოვრების, რომელიც აქტივიზმით საზრდოობს. „მივხვდი, რომ ლექსი აქტივისტად უნდა მექცია“. პოეზიის ორაზროვნება ის დამცავი ზღვარია, რომლითაც პროპაგანდისტულ ნარატივს ხელშეუხებელს ტოვებს. „აქტივისტურ ლექსებში გვჭირდება ორაზროვნება, რათა მკითხველმა თავად იპოვოს თავისი პასუხები, მაგრამ, გარდა ამისა, გვჭირდება სწორხაზოვანი და გამოკვეთილი განზრახვა, რატომ ვწერთ ლექსს.“ ინდივიდის არსის და დაკისრებული მისიის ავტორისეული აღქმა მიუთითებს იდეოლოგიაზე, რომ უკეთესობისკენ ცვლილება ერთი ადამიანით იწყება. ამ ცვლილების დანახვის გზას ავტორი შემოქმედებით რეფლექსირებაში ხედავს, რაც შეგვიძლია დავუკავშიროთ ლიტერატურის თავისებურებას, მოახდინოს სიმძლავრის და გავლენის დემონსტრაცია მსხვერპლის გარეშე. ავტორი ლიტერატურის განმანათლებლობით ფუნქციას მიმართავს, რომელიც როგორც

შემოქმედებითი პროცესის საწყისი, ასევე ცხოვრებისეული მიზნის მთავარი შემადგენელი კომპონენტია. “თუ წერას შევწყვეტ, დამანგრეველ ძალებს მივცემთ საშუალებას, მთლიანად დაიმორჩილონ ენა და დაიწყონ მისით მანიპულირება”. ავტორის “ლინგვისტური დაუმორჩილებლობა” ერთგვარი საწყისია მისი შემოქმედებითი ცხოვრებისა და პროცესის, რომლის მეშვეობითაც მის ესთეტიკურ ქმნილებას არაესთეტიკურ და გამოყენებით ღირებულებას სძენს.

ამ კატეგორიაში გავეცანით კრეატიული პროცესის ინდივიდუალურ მიდგომებს, რომლებს შორისაც გარკვეული მსგავსებები წარმოიშვა. ძირითადად, გამოიკვეთა რამდენიმე შემოქმედებითი პროცესის მოდელი, რომლებიც სხვადასხვა შემოქმედთან განსხვავებული ასპექტებით, თუმცა შინაარსობრივი მსგავსებით ვლინდება. ანდრო ბუაჩიძე, ჯონ კინსელას მსგავსად, გარეფაქტორებს მასზე ურთიერთქმედების საშუალებას აძლევს, რაც რეფლექსურად მოქმედებს ავტორის შემოქმედებით პროცესზე. ეს აისახება ანდროს შემთხვევაში ყოფითი დაუკმაყოფილებლობის ფურცელზე დატანით, ხოლო ჯონ კინსელას შემთხვევაში მიმდინარე მოვლენებთან წინააღდეგობის გაწევის მიზეზით პოეტური უკურეაქციით. ამ პროცესის საბოლოო შედეგი ორივე ინდივიდის შემთხვევაში პოეზიური ქმნილებებია, რომლებსაც შექმნის პროცესში მიმდინარე ყოფის არეკვლის ფუნქცია ეკისრებათ. განსხვავებით ზემოთხსენებული ავტორების კრეატიული პროცესის ხელშემწყობი ფაქტორებისგან, თამთა მელაშვილი და თამრი ფხაკაძე შემოქმედებითი პროცესების ძვრას შინაგანი შეგრძნებების და პირადი გამოცდილებების თავმოყრის შედეგად ახერხებენ. თამთა მელაშვილისთვის კრეატიული პროცესი ემოციურ კავშირზეა დამყარებული, რაც საკითხის მიმართ შინაგანი სიახლოვით რეგულირდება და უკავშირდება თამრი ფხაკაძის ინტერპრეტირებული, სუბიექტური რეალობის ფურცელზე გადატანის პროცესს. იმის მიუხედავად, რომ ჟანრობრივად განსხვავდება ამ ორი მწერლის შემოქმედება, ავტორების შინაგანი გამოძახილი და ობიექტებთან და სუბიექტებთან სიღრმისეული კავშირი მათთვის ღირებული შემოქმედების შექმნის

წინაპირობაა.

საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული მსგავსებები გვევლინება ოთარ ჭილაძის და ჯონ კინსელას წერითი პროცეს-შედეგობრივობის ანალიზისას. ორივე მწერლისთვის წერა არა ამოხსნილი განტოლება, არამედ განტოლების ამოხსნის გზის მაჩვენებლებია, რომელშიც მკითხველმა თავად უნდა მიაგნოს სასურველ ვარიანტს. ოთარ ჭილაძე წერის პროცესს ომს ადარებს, რაც ინტერტექსტუალურად შეგვიძლია დავუკავშიროთ ჯონ კინსელას “ლინგვისტური დაუმორჩილებლობის თეორიას”, ჯონ კინსელასთვის შემოქმედების მიზანი წინააღმდეგობის გამწევი საშუალებაა, რაზე დაფუძნებითაც მისი შემოქმედება იბადება. ოთარ ჭილაძის მსგავსად, ჯონ კინსელასთვის მწერლობა საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთესობისკენ განვითარების ბრძოლაში მთავარი ატრიბუტია.

4.2 ლიტერატურული სტიმული

ამ ქვეთავის მიზანია, ამოვიცნოთ სხვადასხვა წარმომავლობის, სქესის, ასაკის, სტილის მქონე მწერლების წერის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი, ცნობიერი სურვილები, რომლებიც მესიჯის სახით იმალება მათ შემოქმედებაში და ლიტერატურულ სტიმულს წარმოადგენენ.

რ. ანა კორძაია-სამადაშვილი/ ჟ. მალხაზ ხარბედია - ანა კორძაია-სამადაშვილის ლიტერატურული იმპულსების ეპიცენტრს თბილისი წარმოადგენს. მისთვის დედა-ქალაქი არამხოლოდ ადამიანების შეყრა-გაყრის ადგილია, არამედ იმ მოხეტიალე ამბების, რომლებიც ზოგჯერ ემალებიან, თუმცა პოვნის შემთხვევაში, მისი შემოქმედებითი მუხტი იწყებს ამოქმედებას. „ამბებს ვეძებ – და ვაგნებ, მიყვებიან, და მიყვარს საგნები, რომლებსაც ამბავი მოჰყვება, და ძალიან მიყვარს წიგნები, რომლებიც თბილისის გამოა დაწერილი.” მის შემოქმედებაში ქალაქის როლის

სიდიდე მწერლის იდენტობასთან იჭაჭვება. ლიტერატურის მიმართ ორგანული სიახლოვე ჩანს მისი ცხოვრების სხვა განშტოებებშიც, როცა რესპონდენტი გვევლინება როგორც მწერლის, ასევე მთარგმნელის და ლექტორის ამპლუაში. „შესანიშნავი წიგნის თარგმნას დავიწყებ და ისეთ კაცთან ერთად მომიწევს ჯდომა, რომ უპ! მასთან ყოფნისთვის არასრულფასოვნების კომპლექსის აკიდებაც ღირს.“ ჩვენს წინაშე იშლება ადამიანის პორტრეტი, რომელსაც შექმნის გარდა, მოსმენა, შეცნობა და შეხება სიამოვნებს ლიტერატურულ სამყაროსთან და მიუხედავად ქართულ ლიტერატურულ პროცესებში შეტანილი წვლილისა, თავმდაბლურად და პატივისცემით უდგება მისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელ ნამუშევარს თუ პერსონას. ანა კორძაია-სამადაშვილი საუბრობს ლიტერატურაში „გადაწერის“ მოვლენაზე - "მემგონი სულ ვიღაცას ვბაძავ.. თავს ვიმშვიდებ, რომ ეს არც ცუდია და არც კარგი, ასეა, უბრალოდ." ავტორი ამ მოვლენის ნორმალიზირებას გვკარნახობს, რაც გვაძლევს ვარაუდის საშუალებას, რომ დროთა განმავლობაში ლიტერატურული გამოცდილებით ავსებული ადამიანი, წერის პროცესში ნაგროვებ გამოცდილებას უღებს კარს, რაც შესაძლოა ერთგვარი ლიტერატურული სტიმულის როლს ასრულებდეს შემოქმედის ცხოვრებაში.

რ. ჯონ კინსელა / ჟ. თაკო წულაია - ჯონ კინსელა ინტერვიუში თაკო წულაიასთან განიხილავს მწერლის როლს, როგორც პრაქტიკული გამოყენების და დატვირთვის მქონე პროფესიას. პროტესტი, და უმნიშვნელოვანესად მისი მშვიდობიანი ფორმის გამოხატულება, ავტორის ცხოვრების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს. „სინამდვილეში, მე ის ადამიანივარ, რომელსაც სჯერა, რომ კაცობრიობა შინაგანად „კარგია“ და „კითხვისა“ და „გამოხატვის“ საშუალებებით (გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოეზიასა და ხელოვნებას, ზოგადად) ხალხმა შეიძლება ისევ იპოვოს ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის გაგებისგზა.“ მისი შემოქმედება მიმართულია ნებისმიერი სახის უსამართლობის წინააღმდეგ, იქნება ეს გადაშენების პირას მყოფი ჩიტის მიმართ სოლიდარობის აქტივისტური სახით გამოხატვა, თუ

აბორიგენების უფლებების შელახვის გაპროტესტება. აქტივისტური მასშტაბებიდან გამომდინარე, შეგიძლია ჯონ კინსელას არა როგორც ლოკალური დონის ინტერესების გამტარებელი, არამედ გლობალური კეთილდღეობის იდეით განსჭვალული მწერლის სახელი ვუწოდოთ. ჯონ კინსელას შემოქმედებით ველში მთავარი მამოძრავებელი კომპონენტი აქტივისტური სტიმულია. “ ჩემი ცხოვრება ამ ინტერვიუში წამოჭრილ საკითხებს მივუძღვენი და არა მარტო.” ავტორის ლიტერატურული მუხტი ცხოვრებისეული მისიის გამძაფრებული შეგრძნებით იკვებება, რაც მის შემთხვევაში მუდმივ პროტესტს წარმოადგენს, “ ნილ იანგმა იმდერა “როკენროლი არასოდეს მოკვდება“, იგივე შეიძლება ითქვას პოეზიაზეც” - ამ ინტერდაკავშირებული ფრაზით პასუხობს პოეტი ბოლო კითხვას და თითქოს იმ უზენაეს და მაღლა მდგომ სტანციას უკავშირებს მის საქმეს, რომელიც მოკვდავ და წარმავალ ადამიანებსა და ჟამთაცვლაზე მაღლა დგას.

რ. ანდრო ბუაჩიძე/ ჟ. გუგა მგელაძე - ანდრო ბუაჩიძე ინტერვიუში გუგა მგელაძესთან საუბრობს ყველა იმ პრობლემური გარემო ფაქტორების შესახებ, რომელშიც მის შემოქმედებით წვას ჩაეყარა საფუძველი. მისი ლიტერატურული გამოძახილი რეალობისგან თავის შეფარების, აუტანელ ყოფასთან შეჭიდების და გამკლავების გზას უკავშირდება. რეალური ცხოვრების მიმართ დაუკმაყოფილებელი განცდის გაქრობის მცდელობა, მის პოეზიაში არის გამოვლინებული, რომელშიც პოეტი ეძებს გამოსავალს: „ვწერ იმისთვის, რომ ცხოვრება უფრო ასატანი გავხადო, ასატანი კი მაშინ ხდება ცხოვრება, როცა იმას მიაკვლევ, რაც მის ზედაპირზე არ დევს. ასატანიც ხდება და აუტანელიც.” მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ვლინდება ავტორის შემოქმედებაში, თბილისის, როგორც დამოუკიდებლად მყოფი პერსონაჟის, ავტორის ცხოვრებაში პროტაგონისტის და ანტაგონისტის როლის შემსრულებლად წარმოჩენაა. ინტერვიუერი აღნიშნავს, რომ სწორედ დედაქალაქია პოეტის წარმოსახვის უმთავრესი “გამღიზიანებელი”, რაზეც ანდროს დადებითი პასუხი აქვს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტორისთვის პოეზია გარდა თავის დაღწევის

მცდელობისა, თბილისისთვის განკუთვნილი ოდა და ზოგჯერ კი გაუცხოებით გამოწვეული უკმაყოფილების გამოხატვის საშუალებაა.

რ. ოთარ ჭილაძე/ ჟ. ქეთევან სადღობელაშვილი - ოთარ ჭილაძე მწერლის გზას როგორც ჯაფას, რთულს და დასამორჩილებელს, მეორეს მხრივ მისტიკურ, ამოუხსნელი ძალის მიერ დაკისრებულ მისიად განიხილავს, რომლის შესრულებასაც ნებაყოფლობით მსხვერპლშეწირვასთან აიგივებს. "“მწერლობა უცნაური და ლამაზი სიტყვებით ჟონგლიორობას კი არ გულისხმობს, არამედ ერთადერთი და მრავლის მთქმელი სიტყვის პოვნას, რომელსაც უნარი შესწევს თანაგრძნობის, თანადგომის, თანაარსებობის ჟინი აღძრას მკითხველთა გულებში...” მის ნააზრევში შეგვიძლია დაკისრებული მისიის განმარტებაც ამოვიკითხოთ, რომელიც ჰუმანური, პატრიოტული პათოსით არის განსჭვალული და ადამიანების დახმარებასა და განმანათლებლობაზე აქვს ორიენტირი აღებული. შემოქმედებითი ენერგიის წყარო მისი მწერლობის სტანციის რწმენიდან გამომდინარეობს. ამ ვარაუდს ამყარებს ავტორისეული მწერლის დანიშნულების განმარტებები, რომლის მიხედვითაც ავტორი მისი იდენტობის უზენაეს მახასიათებლად მწერლობას განიხილავს, მწერლის საქმეს კი არამატერიალური გავლენის ერთ-ერთ მთავარ ღერძად. ”მწერალი სწორედ მაშინაა საჭირო, როცა სხვებს წიგნისთვის აღარ სცალიათ, როცა ზნეობა შელახულია, კრიტერიუმები არეული.. მწერალმა ლეგენდის ტყვეობიდან უნდა გამოიყვანოს ობივატელი და სიმართლის დასანახი თვალი აუხილოს”. ოთარ ჭილაძე ადამიანის ქვეცნობიერში დაღექილ ლიტერატურულ გამოცდილებაზე საუბრობს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ნაგროვები ისტორიასავით ინახება ჩვენს ტვინში და აყალიბებს ჩვენი კალმის მიმართულებას წერის პროცესში - “ასეთი «მეორეა» ყველა, ვინც წაგიკითხავს...მისი ბაცილა დაფრინავს ჰაერში და, გინდა-არგინდა, შენზეც ახდენს გარკვეულ ზემოქმედებას”. საზოგადოების წინაშე დაკისრებული მორალური ვალდებულების გარდა, ოთარ ჭილაძე მწერლობას საკუთარი სამყაროს შესაქმნელად გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს.

მისთვის წერა რაღაც ისეთის ძებნასთან ასოცირდება, რისი ზუსტი რაობაც მისთვისაც გაურკვეველია, მაგრამ მაინც ესაჭიროება „საკუთარი სამყაროს შექმნა ყველა მწერლის მიზანია.“ - ამ მხატვრული ნააზრის დეკოდირება შესაძლოა იმ გაგებით, რომ ადამიანები ხშირად მიიღწვიან არარსებული, საკუთარი, უსაფრთხო და იდილიური კუთხის მოწყობისკენ. შესაძლოა ოთარ ჭილაძესთვის ლიტერატურული მოღვაწეობის ერთ-ერთ სტიმულს, სწორედ, მისეული სამყაროს შექმნა წარმოადგენდეს.

რ. დიმიტრის ცეკურასი / ჟ. თამთა მელაშვილი - დიმიტრის ცეკურასი ინტერვიუში თამთა მელაშვილთან საუბრობს ფიზიკური მარტოობის მოვლენაზე, რომელშიც თავად იმყოფება. "მიუხედავად იმისა, რომ მარტო ვცხოვრობ, არ ვგრძნობ თავს მარტოსულად". დიმიტრისი ინტერვიუში მისი ავტორობით გამოცემულ ტრილოგიაზე საუბრობს, რომელშიც სამი სხვადასხვა პერსონაჟის ცხოვრების შესახებ ერთმანეთის მსგავსი სიუჟეტი ვითარდება, რომელშიც მთავარი გადაკვეთა მათი მარტოსული ყოფიერებაა. ისინი ან შეუმჩნეველები რჩებიან საზოგადოებისთვის, და ხალხის დაკვირვების ხარჯზე აუტსაიდერის პოზიციიდან ეგზისტენციალურ ფიქრებში იძირებიან, ანდაც ცარიელ კაფეში იკრებენ ძალას, რომ მიკროფონით ხელში საკუთარ თავზე ისაუბრონ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისინი არიან მაყურებლები, ჟამთააღმწერლები, მაგრამ არა მონაწილეები. თითქოს, ეს ყველაფერი ავტორის ინტრუსიული ფიქრების ნაპირზე ამოტივტივებაა, წერის საშუალებით კი მას შეუძლია, რომ ხმა გაგვაგონოს. „მინდა ისე ვწერო, რომ ჩემი ტექსტები მკითხველის ცხოვრების ნაწილად იქცეს.“ ავტორის ცხოვრებისეული ინტროსპექციის საფუძველზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წერა მისთვის ის ძალაა, რაც ადამიანთა მოდგმასთან სულიერ კავშირს არ აკარგვინებს. "მინდა სიცოცხლე, ვგრძნობ, რომ ბევრი რაღაც მაქვს დასაწერი" - ავტორი მის შემოქმედებას სიცოცხლის არსთან აიგივებს, და გვაძლევს ვარაუდის საბაზს, რომ მისი შემოქმედებითი ენერგიის წყარო ხმის მიწვდენის სურვილითაა განპირობებული, ხოლო უწყვეტი

წერა სიცოცხლის გაგრძელების სტიმულად გვესახება.

ჩვენს მიერ განხილულ ინტერვიუებში გამოიკვეთა ლიტერატურული სტიმულის ნაირსახეობები, რომლებსაც მწერლები საკუთარი შემოქმედების შთაგონების წყაროდ იყენებენ.

ერთ-ერთი გამოკვეთილი მიმდინარეობა ქალაქური იდენტობის ფურცელზე ასახვის სურვილია. ამ ჟანრს უსადაგებენ ანა კორძაია-სამადაშვილი და ანდრო ბუაჩიძე საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებას. ორივე მწერლის შემთხვევაში, მათი ნაწარმოების ერთ-ერთი უცვლელი დებულება თბილისია, რომელიც ზოგჯერ ანტურაჟის როლს ასრულებს, ზოგჯერ კი ამბის მთავარი ღერძია. ანდრო ბუაჩიძის შემთხვევაში, თბილისის პერსონაჟს გარკვეული მიჯაჭვულობა, დუალისტური განწყობილება უკავშირდება. ანა კორძაია-სამადაშვილი კი თბილისს განიხილავს როგორც ქალაქური ამბების შემნახველ ადგილს. ამ განსხვავებულობის მიუხედავად, ორივე ავტორის შემოქმედებით წვას ხელს უწყობს მათი იდენტობად ქცეული ქალაქის კულტი.

დიმიტრის ცეკურასის წერის დაუოკებელი სურვილი, ერთგვარი მიზეზი სიცოცხლის გაგრძელებისა, შეგვიძლია გავაიგივოთ ჯონ კინსელას მიერ ცხოვრებისეული მოწოდებისთვის სიცოცხლის მიძღვნის აქტთან. ორივე მწერლის შემთხვევაში ნათელია, რომ მწერლობას ისინი უმაღლეს მწვერვალზე მდგომ სტანციად განიხილავენ. ორივე მწერალს ესაჭიროება მკითხველთან მჭიდრო კავშირი, რაც ჯონ კინსელასთვის სამყაროში ცვლილების გამოწვევისთვის არის გადამწყვეტი, ხოლო დიმიტრის ცეკურასისთვის ემოციური მნიშვნელობის მატარებელია. ორივე მათგანის ლიტერატურული სტიმული იმ მედიუმით არის გამოხატული, რომელიც უძლებს დროის ტესტს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წერის სუბიექტური შედეგობრივობა არის ის შემოქმედებითი მუხტი, რასაც ჯონ კინსელა და დიმიტრი ცეკურასი ერთმანეთთან იზიარებენ.

ანა კორძაია-სამადაშვილის და ოთარ ჭილაძის ინტერვიუების ანალიზისას კიდევ

ერთმა მსგავსებამ იჩინა თავი. ლიტერატურული დამუხტვა მათ შემთხვევაში გარე და შინაგანი ფაქტორების ერთობლიობასთან ერთად, ყველა იმ ავტორის ნამუშევრების რეგენირების პროცესია, რომლებთანაც ოდესმე ჰქონიათ შეხება. მათი საუბრიდან გამომდინარე, ეს ერთ-ერთი ყველაზე ბუნებრივი მოვლენაა, რაც არამხოლოდ მათი, არამედ ზოგადად, მწერლის გამოცდილებაა.

ოთარ ჭილაძე და ანდრო ბუაჩიძე გამოირჩევიან საერთო სურვილით, რომ წერის საშუალებით შექმნან საკუთარი, ხელშეუხებელი სამყარო. ოთარ ჭილაძესთვის ეს განცალკევებასთან, ამოუხსნელის ძებნასთან და ინდივიდუალურ თავისუფლებასთან ასოცირდება, ანდრო ბუაჩიძესთვის კი სწრაფვას ალტერნატიული რეალობისკენ, რომელიც მისთვის გარე ფაქტორებისგან დამცველ აბჯარს წარმოადგენს.

4.3 ქალთა გამოძახილი ლიტერატურაში

მოცემულ თავში განვიხილავთ ლიტერატურულ ასპარეზში ჩართული ქალის ხმას, როლს, ფუნქციას, და ხელისშემშლელ და ხელისშემწყობ ფაქტორებს. გარდა გარეფაქტორების ზეგავლენისა, შევეცდებით ამოვიცნოთ ის თავისებურებები, რომლებიც ქალების მიერ შექმნილ ლიტერატურაში იყრის თავს, და დავადგინოთ, თავისებურებების ლოკალური თუ გლობალური გამოვლინებები.

რ. ანა კორძაია-სამადაშვილი/ ჟ. მალხაზ ხარბედია - მალხაზ ხარბედია და ანა კორძაია-სამადაშვილი საუბრობენ რესპონდენტის შემოქმედების განსაკუთრებულობებსა და მისი პერსონაჟების დამახასიათებელ თარგზე. „ყველა წესიერ მხარეში არსებობს კიდეც ერთი სამყარო, რომელსაც ხან ვხვდებით, ხან – ვერა. ავტორი თბილისის მაგიური მხარის აღმოჩენის მცდელობებზე მიუთითებს, რაც ხან გამოსდის და ნაპოვნ ამბავს მისი ინტერპრეტირებით გადასცემს მკითხველს, ხან ვერ. მისი აღტაცება შინაარსობრივი უნიკალურობების გამოვლინების მიმართ,

ინტერვიუერის თქმით, ზოგჯერ ავტორის სულიერი პერსონაჟების მიმართ მიზანთროპული დამოკიდებულების სახით ვლინდება. ავტორი გაცხადებულ თავისებურებას არ უარყოფს და ხსნის, რომ მისთვის ხანდახან ბევრად დიდი და არასტანდარტული ამბავი იმლება ზოგიერთ ნივთთან თუ ცხოველთან დაკავშირებით, ვიდრე, შესაძლოა, ამას ადამიანის პერსონაჟის დიაპაზონი გასწვდეს. ამის მიუხედავად, მის შემოქმედებაში ხშირია ისეთი პერსონაჟები, რომლებიც საკუთარი გამოკვეთილი ხასიათით და რელევანტურობით გამოირჩევიან. „ყველა ჩემს ქალ პერსონაჟს კარგად ვიცნობ. საუკეთესოდ“ - იკვეთება ავტორის ორგანული სიახლოვე ქალ პერსონაჟებთან, რომლის შექმნა მისთვის ბუნებრივ პროცესს უკავშირდება, განსხვავებით კაცებისგან, რომლებსაც ავტორი “ნისლიან ჰორიზონტს” ადარებს. მის ტექსტებში ანა კორძაია-სამადაშვილი ეწინააღმდეგება იმ შაბლონებს, რაც ძირითადი სტერეოტიპის სახით დამკვიდრდა ქალი პერსონაჟის აღწერისას, რომლიდანაც ერთ-ერთი ძლიერი, იდეალიზირებული, მკაცრი ქალის ფსიქოტიპია. ანა კორძაია-სამადაშვილი, ავტორის პოზიციიდან შაბლონების რეკონსტრუქციის პროცესში იღებს მონაწილეობას.. “რა წამსაც ჩემი გოგოები აღარ იდარდებენ და აღარ იჩერჩეტებენ, წერას მოვრჩები. მე ვერ ვიტან კორექტულ ტექსტებს, წიგნებს „ძლიერ ქალებზე“, და ვერც იმას დავუშვებ, რომ ჩემი პერსონაჟი ფატის ფრიალით მინარნარებდეს ამომავალი მზისკენ.” ამ ფრაზაში ჩანს, რომ პატრიარქალური გავლენის წინააღმდეგ წასული მწერალი, ერთი უკიდურესობიდან მეორე რადიკალურ მხარეს ირჩევს, რაც მიუხედავად რადიკალიზმისა, თავისუფალი არჩევნის და გემოვნური მახასიათებლების მტკიცე გამოვლინებაა.

რ. თამთა მელაშვილი/ ჟ. გვანცა თულაშვილი - თამთა მელაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მახასიათებელი განსაკუთრებული და კომპლექსური ქალი პერსონაჟების შექმნაა. თემატურად ის მუდმივად უპირისპირდება პატრიარქალურ ქვეყანაში ჯერაც სტერეოტიპულ საკითხებს და ახდენს ისეთი ტაბუების რეკონსტრუქციას, როგორიცაა ქალის სექსუალობა, ეიჯიზმი, დედა-შვილობის და ცოლ-ქმრობის შაბლონი. საკუთარი „მე“ დიდ როლს თამაშობს ავტორის პერსონაჟებში, რომლის

უკეთ გამოსახატავად, მწერალი ხშირად მიმართავს პირველ პირში თხრობას. ამ სტილისტური ნიშის გარდა, ავტორის მონათხრობი მესამე პირშიც გვხვდება. მისი ბოლო ნამუშევარი მონოპიესა „კაბა“, განსაკუთრებულად გამოხატავს ქალის, როგორც არა დედის, არა ცოლის, არა ხანშიშესული, დრომოჭმული ადამიანის, არამედ ინდივიდის პერსონას, მისი სიღრმით, გამოცდილებებით, ჩვევებით, ცოდნით და სრულფასოვნებით. ინტერვიუში გვანცა თულაშვილთან, ავტორი საუბრობს მისი შემოქმედებითი სტილის ჩამოყალიბების მიზეზებზე: „ქალური პერსპექტივიდან წერა თავისთავად ნიშნავს უთქმელ თემებზე ღიად საუბარს. მე როგორც ქალი ავტორი, ვწერ ამ კონკრეტული პერსპექტივიდან იმიტომ, რომ ქალი ვარ, იმიტომ, რომ ასე წერა მომწონს და იმიტომ, რომ ამაზე საუბარი ჩემთვის მნიშვნელოვანია.“ ამის მიუხედავად, ეს არ არის სტრუქტურირებული, წინასწარგაწერილი და ფანტაზიის მიერ გაღვივებული წერის პროცესი. თამთა მელაშვილი ამ პროცესს ინტუიტიურად უდგება, რომლის მთავარი კომპონენტიც რეალობაში დამყარებული პერსონალური გამოცდილება ან სუბიექტური ემოციური კავშირია.

რ. სალომე პატარიძე / ჟ. თაკო წულაია - სალომე პატარიძე თაკო წულაიასთან ინტერვიუში მის მონოგრაფიაზე და მასში გაერთიანებული მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ქალი მწერლების შესახებ მოგვითხრობს. მონოგრაფია ისტორიული განმანათლებლის როლს ასრულებს და ემსახურება 1910-იანი წლების ქართველი ქალი მწერლების გაცნობას და პოპულარიზაციას, ამასთან ერთად, ცნობიერების ამაღლებას საქართველოს იმდროინდელი გარეშე ფაქტორების შესახებ, რომლებშიც ქალებს უწევდათ შემოქმედების შექმნა. მონოგრაფიაში გაერთიანებული შემოქმედების ავტორები არიან: ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, მარიამ გარიყული, საფო მგელაძე, ლიდია მეგრელიძე, კატო მიქელაძე და ბაბილინა ხოსიტაშვილი. იმდროინდელი ქალი მწერლების ნამუშევრები იმ პირობების და ყოფის ანარეკლს წარმოადგენს, რომელშიც უწევდათ ავტორებს შემოქმედებითი პროცესების წარმოება.

მათ ნაწერში ხშირად შევხვდებით მაშინდელი სტიგმების მარწუხების ქვეშ მოყოლილ ლიტერატურულ რეფლექსიებს, რაც ფემინიზაციის პროცესის ერთ-ერთი პირველი საწყისია ქართულ საზოგადოებაში. ეს თემები ოჯახის და პროფესიული ცხოვრების ერთმანეთთან შეუთავსებლობას, ქალის საკუთარ სხეულთან დაკავშირებით ავტონომიურობის არარსებობას, არასერიოზულ აღქმას პროფესიულ სტანციებში, ობიექტიზაციას და ქალის ხმის მიყრუებას ეხება. მათი წერის თავისებურების ერთ-ერთ გამორჩეულ ასპექტად საკუთარი ნაშრომის უკან ამოფარება შეგვიძლია დავასახელოთ. ეს მოვლენა მოიცავს პირადი გამოცდილებების და სურვილების ნაწერში არეკვლის ჩვეულებას, რადგან მეოცე საუკუნის დასაწყისში ამაზე რეალობის ჭრილიდან საუბარი მარცხით დასრულებულ ომთან ასოცირდებოდა. შესაბამისად, იმდროინდელი ქართველი ქალების ნაწარმოებები, თითქმის ყოველთვის საკუთარი შეგრძნებების, შინაგანი სამყაროს, ლტოლვების და გამოცდილებების ფურცელზე გადატანას მოიაზრებდა.

სალომე ასათიანი გამოჰყოფს იმ თავისებურებებს, რომლებიც ქალურად წერას ახასიათებს: „ყველა ის ტექსტი, რომლებიც პატრიარქალურ საზოგადოებაში ხილულს ხდის ქალის ობიექტივიზაციის გზას, პოსტსამშობიარო სტრესს, ომების აბსურდულობას, დედის დიქტომიურ ხატს, ოჯახზე მიჯაჭვულობას/სივრცით მიჯაჭვულობას, სოციალური ნორმების მიერ მარგინალი სხეულის გაუფასურებას, არაცნობიერის აქტივიზაციას, პატრიარქალური ფსევდოდირებულებების გამოაშკარავებასა და წარსულსა და აწმყოზე მიჯაჭვულობას, თხრობის ლინეალურობისა და სინტაქსის დარღვევას, ელიფსური წინადადებების გამოყენებას, ქალურ ტექსტებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ. ქალური ტექსტები კონგლომერატს წარმოადგენს და მოიცავს ცნობიერ და არაცნობიერ ელემენტებს, რომლებიც ერთმანეთს წარმოქმნიან და, ამავე დროს, ანგრევენ.” ამასთან ერთად, სალომე პატარიძე ხაზს უსვამს, რომ ქალური ტექსტი არ არის ავტორის ბიოლოგიურ სქესთან დაკავშირებული. შესაბამისად, მის მიერ განხილული ქალური წერის თავისებურებები შესაძლოა, ნებისმიერი ბიოლოგიური სქესის ავტორობით შეიქმნას.

რ. მაიკლ კანინგემი / ჟ. სალომე ასათიანი - მაიკლ კანინგემი ინტერვიუში სალომე ასათიანთან განიხილავს მის რომანს „საათები“, და მასში გადმოცემულ ქალურობის თანმდევ შინაგან და გარე მოვლენების ურთიერთქმედებებს. რომანი ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელის, ვირჯინია ვულფის შემოქმედებას ეფუძნება და მოიცავს ქალებთან დაკავშირებულ კომპლექსური თემების მრავალ ასპექტს. ვირჯინია ვულფი „საათების“ ერთ-ერთი გმირად ცოცხლდება, და ორ ქალთან ერთად, რომელთაგან ერთი ვირჯინია ვულფის წიგნის პერსონაჟს, მეორე კი ამ წიგნის მკითხველს წარმოადგენს, ქმნის იმ ქალთა სამეულს, რომლებიც საკუთარი გრძნობების, ემოციების ნავიგაციის კომპლექსურ პროცესს ყოველდღიური ცხოვრების ჭრილში გადიან. საინტერესოა, იმ თემების მსგავსებების და განსხვავებულობების აღმოჩენა, რომლებიც ქართველი და უცხოელი ქალის ან ქალზე შექმნილ შემოქმედებაში ვლინდება. ერთ-ერთი მსგავსება, სოციუმის მიერ ქალის სექსუალობის ჩარჩოებში მოქცევა და იარლიყების მისადაგებაა, რაც მაიკლ კანინგემის შემოქმედებაშიც იჩენს თავს. საპირისპირო სქესის სიღრმისეულად და მინიმალური ცდომილებებით აღსაწერად მაიკლ კანინგემი ქალების მიმართ მის ორგანულ სიმპათიას მიიჩნევს: „ეს შესაძლოა ძალიან ბანალურად ჟღერდეს – თუმცა მე ვფიქრობ, რომ ბევრ კაც მწერალს, ვის რომანებსაც ვკითხულობ, ქალები დიდად არ მოსწონს და არ აინტერესებს. მე მომწონს ქალები და საოცრად მაინტერესებს ისინი.“ ამ დებულებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, უფრო გასაგები ხდება, თუ რატომ გვხვდება ხშირად მწერლების შემოქმედებაში ქალის გამომსახველი განმეორებადი პროტოტიპი, რომელიც სალომე ასათიანის თქმით მოიცავს ერთგანზომილებიან პერსონაჟებს, – “ქალწული ან მეძავი; ცოლი ან “femme fatale”” (მიმზიდველი და მაცდური ქალი, რომელიც ხშირ შემთხვევაში არეულობას და უბედურებას იწვევს იმ კაცის ცხოვრებაში, რომელიც მასთან დაიჭერს ურთიერთობას). ავტორის ღრმა სიყვარული და აღტაცება ვირჯინია ვულფის მიმართ, მის მიერ ქალი პერსონაჟების ფუნდამენტური და ინტენსიური წარმოჩენის ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია

განვიხილოთ. ვირჯინია ვულფი ერთ-ერთი პირველია ჯეინ ოსტინთან ერთად, რომელმაც ჯერ კიდევ ტერმინის არარსებობის დროს, ბეხდელის ტესტი (საზომი ქალების რეპრეზენტაციის ფიქციურ ქმნილებაში, ძირითადი ინდიკატორი ტესტის ჩაბარების არის ორ ქალს შორის საუბარი, რომლებსაც საკუთარი სახელები აქვთ და საუბრის თემა არ წარმოადგენს საპირისპირო სქესს) ჩააბარა. მისი ლიტერატურული კერპით ინსპირირებული მაიკ კენინგემიც ვირჯინია ვულფის დისკურსს აგრძელებს.

რ. თამრი ფხაკაძე -/ ჟ. თაკო წულაია - თამრი ფხაკაძის ლიტერატურული საწყისები მის მსოფლმხედველობრივ აღქმას უკავშირდება. ინტერვიუში თაკო წულაიასთან, თამრი საუბრობს ბედისწერის მნიშვნელობასა და რეალურსა და ჯადოსნურს შორის არსებულ გასაყარზე, რომელიც ყოველდღიურად იკვეთება და ყოფითი დღეები მაგიური წამებით ივსება. ეს ფიქრები საფუძვლად უდევს მის ბოლო რომანს, რომელიც მაგიური რეალიზმის ჟანრს მიეკუთვნება და რომელიც არა ფაქტებზე, არამედ შეგრძნებებსა და ინტუიციაზე დაყრდნობით არის წარმართული. რომანი პერსონალურ გამოცდილებებსაც იტევს, მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუში თამრი საუბრობს იმაზე, რომ ნაწარმოების არცერთ პერსონაჟში ავტორი არ იკითხება, მისი რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი ბავშვობაში გაცნობილი ადამიანის მიმართ გამოწვეული შთაბეჭდილებების ინტეგრაციით შეიქმნა. ზემოთხსენებული კრეატიული მიდგომის თავისებურებები მწერლის შეგრძნებებით და ემოციებით მმართველ სტილზე მიუთითებს, რომელშიც ადგილი ყველა იმ ამბავს უჭირავს, რომელიც რაღაც ემოციას, რაღაც ფაქტობრივ რეალობაზე მეტს, ენიგმატურს და აუხსნელს ატარებს. მისი შემოქმედებითი მიმდინარეობა საკუთარი ინტროსპექტული დაკვირვების და გარე სამყაროსთან შერწყმის სახით ვლინდება. ინტერვიუში თამრი ნაშრომის სრულყოფისთვის დაყოფილ დროზე საუბრობს, რომელიც ბოლო რომანის შემთხვევაში 12 წელს ითვლის. მიუხედავად აუცილებელი ემოციური კავშირისა, რაც უნდა დაამყაროს მწერალმა წიგნთან, ის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფაქტობრივ სიზუსტეს და სტილისტურ თუ შინაარსობრივ

გამართულობას არანაკლებ ყურადღებას აქცევს, რის შედეგადაც იზადება დუალისტური განწყობილებით შექმნილი თამრის შემოქმედება.

განსაზღვრულ კატეგორიაში განვიხილეთ ქალური შემოქმედების შექმნის განმაპირობებელი ფაქტორები, თავისებურებები, განსხვავებულობები და მსგავსებები. იმის მიუხედავად, რომ ინტერვიუში განხილული ინდივიდები ქმნიან სხვადასხვა ჟანრის, სტილის, თემატიკის და გეოგრაფიული გავრცელების ნამუშევრებს, მათი გადაკვეთის წერტილი ქალის ლიტერატურულ გამოვლინებებს უკავშირდება.

ანა კორძაია - სამადაშვილი და თამრი ფხიკიძე საკუთარი ინდივიდუალური სტილის მეშვეობით განსხვავებული და მაგიური ელემენტებით გაჯერებული ამბებისკენ ილტვიან, მათი ინსპირაციის წყარო რეალური სამყაროს ფიქციური მხარის აღმოჩენის გზაზე ერწყმის ერთმანეთს.

მაიკლ კანინგემი და ანა კორძაია-სამადაშვილი საკუთარ ნაწარმოებებში მრავალფეროვნების შემოტანის სახით ებრძვიან იმ სტატიკურ, დრომოჭმულ პერსონაჟების პორტრეტს, რომლებსაც ხშირად გვთავაზობენ ლიტერატურაში ქალის რეპრეზენტაციის დროს.

თამთა მელაშვილი მსგავსად სალომე პატარიძის მონოგრაფიაში შესული ავტორებისა, ისეთ ტაბუდადებულ თემებზე საუბრობს, რაც ქართულ ლიტერატურულ სამყაროში ჯერაც მიჩქმალული და პოტენციალს ამოფარებულია. ამ ორ მხარეს შორის საუკუნოვანი დროის სხვაობაა, თუმცა, განსხვავდება მხოლოდ ტაბუდადებული თემების რაობა, და არა მწერლების მიდგომა და მცდელობა, საზოგადოებაში ქალურ საკითხებზე ხმამაღლა საუბრისა და ქალების მეტად ინტეგრაციის ლიტერატურულ სამყაროში.

4.4 ლიტერატურული პროცესების პრობლემები და გადაჭრის გზები დღევანდელ საზოგადოებაში

რ. რატი ამალღობელი/ ჟ. ნანა კობაიძე -ინტერვიუში საფუძვლიანად არის განხილული საქართველოში ლიტერატურული პროცესების თანმდევი ავ-კარგი. რატი ამალღობელი პოეზიური ძვრების მუხტის ვარდნას ეხმიანება, და აღნიშნავს, რომ თანამედროვეობაში ექსპერიმენტულმა პოეზიამ ვერ გაამართლა, რადგან მკითხველის მხრიდან არ არის ამ ჟანრის მიმართ ინტერესი და მოთხოვნა. ლიტერატურული კაფე კი ინტერვიუში წარმოჩენილი არის როგორც დღევანდელი ქართველის და ლიტერატურის ურთიერთობის სიმბოლო: „ლიტერატურული კაფე“ დღეს კარგი ხაჭაპურის შესაქმელი ადგილია და არა ლიტერატურაზე საუბრის”. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც ადამიანები დასვენების საათებს უმეტესწილად ტელევიზორთან ატარებენ, ჩნდება კითხვა თუ როგორი უნდა იყოს წიგნი, რომ მკითხველს დააინტერესოს. რატი ამალღობელის აზრით, დღევანდელი მკითხველი საკმაოდ ეგოისტია, და სურს, რომ ყველაფერში საკუთარი თავი ამოიკითხოს, რაც კითხვის გაგრძელების პროცესის მთავარი მაპროვოცირებელია. შენელებული ძვრების მიუხედავად, რესპონდენტი სტრატეგიულ გეგმაზე საუბრობს, რომელიც საქართველოში ლიტერატურული პროცესების აღორძინებას ესადაგება. რატი ამალღობელის აზრით, ერთ-ერთ საგულისხმო პრობლემას, კრიტიკოსების ნაკლებობა წარმოადგენს. კრიტიკული შეფასების არარსებობა კი ქვეყანაში განუვითარებელი ლიტერატურის პირდაპირპროპორციულია. გარდა ამისა, საკმაოდ რთულია მკითხველისთვის ნავიგაცია დღევანდელ ლიტერატურულ სამყაროში, როცა თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკა არ არის ლიტერატურული პროდუქტის თანმდევი მოვლენა. ამასთან ერთად, რატი ყურადღებას ამახვილებს მწერლის განმარტებაზე, და თვლის რომ წმინდა წყლის მწერლის სახელის მატარებელი ინდივიდები, დღეს სულ რამდენიმე გვყავს საქართველოში. მწერალი, რესპონდენტის თქმით, არის ადამიანი, რომელიც სულ წერს, ეს არის მისი შემოსავლის მთავარი წყარო და არა მხოლოდ სულიერადაა ამ საქმესთან დაკავშირებული, არამედ არსით, პროფესიულად და მატერიალურად. მისთვის

თანამედროვე მწერალის სახელს აკა მორჩილაძე ატარებს. ზემოთხსენებული პრობლემების საპასუხოდ 2002 წელს რატი ამაღლობელმა დაარსა ლიტერატურული კონკურსი “საბა”, რომელიც ყოველ წელს სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის სფეროს ავტორებს აჯილდოვებს. კრიტიკის ჟანრის გამოსაცოცხლებლად კი მონაწილეებს შორის კრიტიკოსებიც ჯილდოვდებიან. რატი ამაღლობელის თქმით: „ამ კონკურსის მთავარი მიზანი სწორედ ლიტერატურული პროცესის გამოცოცხლებაა და ამ ფუნქციას ის ასრულებს. როდესაც ყოველ წელს 7-8 მწერალი იღებს პრემიას, ჩვენ ვქმნით თანამედროვე ქართული ლიტერატურის ბიბლიოთეკას”.

რ. ოთარ ჭილაძე/ ჟ. ქეთევან სადღობელაშვილი - ოთარ ჭილაძე ინტერვიუში პესიმისტურ ჭრილში განიხილავს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს. ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მისთვის საზოგადოების აპათიური განწყობილება წარმოადგენს. „როცა ქვეყანაში, თუნდაც არასერიოზულად იკითხავენ, გვჭირდება თუ არა მწერლობაო, არათუ მწერლობა, ყველაფერი სისულელეა.” ოთარ ჭილაძე მწერლის პროფესიის დაუფასებლობის საკითხს მათი მატერიალური ანაზღაურების სიმწირესაც უსადაგებს. მისი თქმით, ჩვენს ქვეყანაში მწერალს ხშირად ის ელემენტარული პირობები არ აქვს, რის შედეგადაც მის პროფესიულ ვალს მოიხდის. ამ პრობლემის ერთ-ერთი საწყისი კი შეგვიძლია წიგნების მიმართ საზოგადოების დავარდნილი ინტერესი მივიჩნიოთ. შექმნილი ანტურაჟის მიუხედავად, მწერალი მაინც მოუწოდებს ავტორებს მათი მისიის შესრულებისკენ და შთამომავლობაზე ამყარებს იმედს - „მთავარია, ნამდვილმა მწერლებმა თავიანთი საქმე აკეთონ, ანუ, წერონ წიგნები”. მისი დამოკიდებულება ქვეყნის მდგომარეობის და აწმყოს მიმართ თითქმის ნიჰილისტურია, თუმცა, ოთარ ჭილაძე მაინც იტოვებს იმედის ნაპერწკალს, რომ ახალი თაობის მწერლების და დროის სვლის ხარჯზე, ახალი, გათვინჯობიერებული საზოგადოება ჩამოყალიბდება.

რ. ანა კორძაია-სამადაშვილი/ ჟ. მალხაზ ხარბედია - ანა კორძაია-სამადაშვილი ინტერვიუში ერთმანეთს ადარებს 15 წლის წინანდელ საქართველოს, როცა ჯერ კიდევ საუბრობდნენ ლიტერატურაზე, კამათობდნენ, აზრებს ცვლიდნენ, რაშიც ჟურნალ-გაზეთებსაც დიდი როლი მიუღმვოდათ. ამ პროცესების განხორციელებაში ლიტერატურული ჟურნალისტის როლი, ერთ-ერთ საკვანძო ღერძად გვევლინება, რომელსაც დიდი როლი მიუძღვის ლიტერატურული პროცესების გამოცოცხლება/ აღორძინების მცდელობაში. ანა კორძაია-სამადაშვილი კრიტიკის არარსებობის სავალალო შედეგებზე საუბრობს: „ხოლო თუ არავინ არასოდეს არაფერს იტყვის, .. არავინ არასოდეს ახსნის, რა ხდება დღეს ქართული ლიტერატურის თავს, აღარც ლიტერატურა იარსებებს. იქნება ქართულად დაწერილი ამბები. სავარაუდოდ, ცუდი.” რეალური საუბრები, მუდმივი ქმნადობა, ლიტერატურული და ჟურნალისტური სფეროს წარმომადგენლების საქმიანობა, კრიტიკის ჟანრის განვითარება, ის თემებია, რომლებიც ანა კორძაია-სამადაშვილისთვის ლიტერატურული პროცესების გააქტიურებისთვის საჭირო რეფორმებს წარმოადგენს.

რ. თამთა მელაშვილი/ ჟ. გვანცა თულაშვილი - თამთა მელაშვილი ინტერვიუში განიხილავს იმ პრობლემებს, რომელიც დიდი ხნის მანძილზე სტატიკურად არის ჩამოფენილი ქართულ ლიტერატურულ სამყაროში. ეს პრობლემა თავს სალიტერატურულო ასპარეზის პატრიარქალური ჰეგემონიის სახით იჩენს. „დანაშაულია ეკატერინე გაბაშვილის სასკოლო პროგრამიდან ამოღება და უსამართლოა მოსწავლეს მხოლოდ ანა კალანდაძის რამდენიმე ლექსით უქმნიდე წარმოდგენას ქალების ხმის შესახებ.” მრავალსაუკუნოვანი ლიდერობის ფონზე ყველა ლიტერატურული გამოვლინება მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლების მიერ იყო შექმნილი, ხოლო მაშინ როცა ამ მხრივ მდგომარეობის გათანაბრების ხანა დაიწყო, თამთა მელაშვილი დღესაც ხედავს იმ პრობლემას, რაც ლიტერატურული სივრცის არათანაბარი გადანაწილებაა. შესაძლოა, დადებითი მხარეც დავინახოთ ამ

სურათში, რაც თამთა მელაშვილის თქმით, ქალი მწერლების მომრავლებასთან არის დაკავშირებული, თუმცა, მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მათი რეპრეზენტაციის საკითხი.

რ. სალომე პატარიძე / ჟ. თაკო წულაია - სალომე პატარიძე ინტერვიუში მის მიერ შექმნილ ისტორიულ მონოგრაფიაში გადმოცემულ საზოგადოებრივ პრობლემებზე საუბრობს. მეცხრამეტე საუკუნის ქართველ შემოქმედ ქალთა ყოფა, გამოირჩეოდა იმ ბრუტალური ნიადაგის დამუშავებით, რომლის ყოველ ნაბიჯზეც გენდერული პრობლემები იჩენდა თავს. ერთ-ერთი მთავარი ამ პრობლემების ჩამონათვალში მათი არასერიოზული აღქმა იყო, რომელიც გამოიხატებოდა შემოქმედების გაკიცხვით, ჩარჩოებში მოქცევით და ხშირი რეპრესიებით ოჯახისა თუ საზოგადოების მხრიდან - საფო მგელაძის რომანებს „ტახტზე წამოსაწოლ რომანებს“ უწოდებდნენ კრიტიკოსები და ქილიკობდნენ, ქალური გრძნობებითა და ინტერესებით არის შემოფარგლული და ვერაფერს მისცემს საბჭოთა მკითხველსო.” .. ხშირად საბავშვო ლიტერატურაში გადაბარგებისაკენ მოუწოდებდნენ და ამით „ნამდვილი“ ლიტერატურიდან რიცხავდნენ.” ეს ორი მაგალითი, შაბლონის როლს ასრულებს იმ მრავალი შემთხვევიდან, რაც ქალების შემოქმედებით სცენარში თამაშდებოდა. ლიტერატურული სფეროს პატრიარქალური ჰეგემონია არ აძლევდათ საშუალებას, რომ გაეტეხათ მათსა და საზოგადოებას შორის აღმართული კედელი და სრულფასოვანი შემოქმედის ცხოვრებით ეცხოვრათ. ამის საპასუხოდ, კატო მიქელაძემ, დააარსა პირველი ფემინისტური ჟურნალი “ხმა ქართველი ქალისა”, რომელმაც ხელი შეუწყო იმ ქალების ლიტერატურული ნაღვანის საზოგადოებისთვის გაცნობას, რომელიც სხვაგან არ იბეჭდებოდა. გარდა ამისა, ჟურნალმა, როგორც ჟამთააღმწერელმა, ისტორიული ნარატორის ფუნქცია შეითავსა და იმდროინდელი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ყოფის და ამ ყველაფერში ქალების ინტეგრირების მცდელობის ვრცელი სურათი დაგვანახა. კატო მიქელაძის იმდროინდელი ქმედება, ერთგვარი სიტყვის თქმა იყო ქალების ემანსიპაციურ

ბრძოლაში. იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ 1917-1918 წლებში გაგრძელდა ჟურნალის გამოშვება, ქალების სოციალური ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დატოვა. სალომე პატარიძე შემოქმედი ქალების იმდროინდელ გამოწვევებს ეხმიანება და მონოგრაფიის მნიშვნელობას ლიტერატურული პროცესების წინ წაწევის ჭრილში განიხილავს: “თანამედროვე ლიტერატურისთვის, ისევე როგორც გენდერისა და კულტურის კვლევებისათვის, უმნიშვნელოვანესია მე-20 საუკუნის ქალ-ავტორთა კვლევა, რადგან აქტუალური მეთოდოლოგიური/თეორიული მიდგომების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნის პირობების აღწერა, მათი გავლენის დანახვა მხატვრულ ტექსტებში კონსტრუირებულ სამყაროებზე.” რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქალი ავტორების შემოქმედება, შეგვიძლია საუკეთესო წინაპირობად და გაკვალულ გზად მივიჩნიოთ მომდევნო თაობების ავტორებისათვის.

ამ თავში გამოიკვეთა იმ პრობლემების განმეორებითი სახეები, რომლებიც დღეს ქართულ ლიტერატურულ სფეროში იჩენს თავს. ძირითადად, ეს თემები საზოგადოებაში ლიტერატურული პროცესების მიმართ ინტერესის მიწეღებას, კრიტიკული ჟანრის წარმომადგენლების სიმცირეს, მწერლის თვითმყოფადობისთვის შეუფერებელ პირობებს, სასწავლო დაწესებულებებში ქალი ავტორების ტექსტების ნაკლები დოზით წარმოჩენას, და ზოგადად, ისეთი სტანციების ნაკლებობას ეხება, სადაც ხშირი იქნება ლიტერატურული განხილვების და აქტივობების დანერგვა. რესპონდენტები სხვადასხვა გზას გვთავაზობენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მათ შორის რწმენა და ხელშეწყობა ახალი თაობისთვის, ლიტერატურული ჟურნალისტიკის როლის გამძვინარება, წარსული გამოცდილებების ინტეგრირება და “საბა”-ს მსგავსი კონკურსების ხელშეწყობაა.

რესპონდენტები, მიუხედავად გამოკვეთილი პრობლემებისა, ინარჩუნებენ დამაიმედებელ განწყობას და არც იმ მიმდინარე სიკეთეებს არ ტოვებენ

ხაზგაუსმელს, რომელთა მეშვეობითაც დღევანდელი ქართული ლიტერატურული სამყარო საზრდოობს.

4.5 ჟურნალისტის და რესპონდენტის თანხვედრა კომუნიკაციურ პროცესში

მოცემულ თავში ვისაუბრებთ ინტერვიუს იმ ინდექსიურ მახასიათებლებზე, რაც კონტექსტიდან გამომდინარე ვლინდება ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის წარმართულ დიალოგში და საბოლოოდ ინტერვიუს რეალიზებაში შეაქვს წვლილი. ამ სექციაში გამოვყავით ის ინტერვიუები, რომლებიც ფორმალური, სტანდარტული ინტერვიუსგან განსხვავდება კომუნიკაციისა და ინტერვიუს მონაწილეებს შორის ურთიერთკავშირის ხარისხით.

რ. თამთა მელაშვილი/ ჟ. გვანცა თულაშვილი - ინტერვიუს მთავარ თეზისსა და მონაწილე მხარეებს შორის იგრძნობა ორგანული სიახლოვე, რაც ინტერაქციის დიალოგურ მსვლელობას უწყობს ხელს.

„მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონაჟები სპეციფიკურები არიან, მათთან იდენტიფიკაცია ნებისმიერ ქალს შეუძლია, რადგან მათი

ბუნებრივი, ქალური გამოცდილებები, ფიქრები და რუტინები იმდენად ქალურია, აზრი ეკარგება იმას, თუ რა ასაკის არიან, სად ცხოვრობენ, რა გამოიარეს“- ამგვარად აფასებს ინტერვიუერი თამთა მელაშვილის მიერ შექმნილ პერსონაჟებს, და გასცემს რესპონდენტთან დამაკავშირებელ სიგნალს, რასაც მეორე მხრიდან დადებითი უკუკავშირი მოჰყვება. ჟურნალისტს ზედმიწევნით აქვს შესწავლილი რესპონდენტის მიერ შექმნილი ნამუშევრები, როგორც ახალი, ასევე ძველი და ყველა მათგანის ანალიზზე დაფუძნებით სვამს ინტროსპექტულ კითხვებს, პასუხის შინაარსიდან გამომდინარე უღრმავდება საკითხს და არ გადადის შემდეგ თემაზე, იძლევა სუბიექტურ დადებით შეფასებებს, რაც ინტერაქციას ბუნებრივად მიმდინარე დიალოგის ელფერს ჰმატებს.

რ. რატი ამალღობელი/ ჟ. ნანა კობაიძე - ჟურნალისტის წინასიტყვაობის დედა-აზრი ემთხვევა რატი ამალღობელის განაცხადს - „ლიტერატურული კაფე“ დღეს კარგი ხაჭაპურის შესაჭმელი ადგილია და არა ლიტერატურაზე საუბრის“, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ინტერვიუს თემატიკასა და დინამიკაზე. ინტერვიუს წინათქმิดანვე ჩანს, რომ ინტერვიუერსა და რესპონდენტს საერთო დამოკიდებულება აქვთ საკითხის მიმართ, რაც აზრობრივად ურთიერთშეთანხმებული ინტერაქციის საწინდარი ხდება. ინტერვიუს დისკურსი მეტად კოოპერატიულია, ვიდრე ფორმალური. დიალოგში შევხვდებით ჟურნალისტის მიერ რესპონდენტის პასუხზე პასუხს: – “არ ვიცი, რამდენად დამაჯერებელია ეს არგუმენტი. არამგონია, პოეტი წერის პროცესში იმაზე ფიქრობდეს, არის თუ არა მოთხოვნილება საზოგადოებაში კონკრეტული ტიპის პოეზიაზე. ის ხომ არ წერს საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად, ის წერს იმიტომ, რომ ამის გარეშე არ შეუძლია.”- წინადადება კითხვით ფორმაში არ არის დასმული, რაც ინტერვიუს ფორმატს სცდება და ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებული ორი მხარის ანალიტიკურ დებატებს ემსგავსება.

რ. მაიკლ კენინგემი / ჟ. სალომე ასათიანი - კულტურული ფონის განსხვავებულობის მიუხედავად, ჟურნალისტი ახერხებს, რომ საკითხის გარშემო სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე ინტერტექსტუალურად დააკავშიროს ავტორის ნაშრომი სხვა შემოქმედებასთან. მისი ანალოგი შესაბამისობაშია რესპონდენტის კრეატიული პროცესის ინსპირაციასთან, შესაბამისად ჟურნალისტს გეოგრაფიული ბარიერის გატეხვა და სრულფასოვანი, მრავალკომპონენტური ინტერვიუს წარმართვა გამოსდის. - „პირადად მე თქვენი რომანის კითხვისას ხშირად მახსენდებოდა ჩემი საყვარელი ფილმი, პიერ-პაოლო პაზოლინის “თეორემა” (ს.ა.), - “ეს ჩემთვისაც ერთ-ერთი უსაყვარლესი ფილმია”(მ.კ) - “ძალიან მიხარია ამის მოსმენა – ესეიგი, ჩემი ასოციაცია სწორი იყო”(ს.ა). ამ ჩართვამ ინტერვიუს მთელ დინამიკაში გამოიწვია

ორმხრივი ენთუზიაზმი, რაც მალევე გადაიზარდა ემოციურად დაკავშირებულ მხარეებს შორის ავთენტური დიალოგის ფორმატში.

რ. ანა კორძაია-სამადაშვილი/ ჟ. მალხაზ ხარბედია - ანა კორძაია-სამადაშვილის და მალხაზ ხარბედიას ინტერვიუ განსაკუთრებულად არაფორმალური დისკურსით გამოირჩევა, რისი საწინდარიც თავად რესპონდენტის სახასიათო კომინკაციის სტილი და დიალოგის მონაწილეებს შორის ინტერვიუსგან დამოუკიდებელი ურთიერთობა შეგვიძლია მივიჩნიოთ. კითხვა-პასუხის პროცესში შევხვდებით ინტერვიუერის მიერ კითხვის დასმის იმგვარ ფორმულირებას, სადაც მათი ადრინდელი ინტერაქციის გახსენებას სთხოვს რესპონდენტი: „მე კარგად მახსოვს შენი პირველი მოთხრობები“, „მახსოვს, ერთხელ მითხარი..“. ინტერვიუში შექმნილი ფამილარულობის განცდა, მკითხველისთვის ერთგვარ დასწრების ეფექტს ამძაფრებს. ჟურნალისტი ავტორის პერსონის მახასიათებლებზე მისი შემოქმედების ანალიზზე დაყრდნობით, დასკვნებს აკეთებს, რაც მათ შორის გახსნილ, მეგობრულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს : „უცნაურად კი ჟღერს, მაგრამ ადრე მსუბუქი, ხალისიანი და ჭკუამხიარული მიზანთროპია დავინახე შენში, როგორც ავტორის ან მოთხრობლის ზოგიერთ პერსონაჟთან დამოკიდებულებაში..“ მონაწილეებს შორის არ არსებობს ის ბარიერები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ინტერვიუს ფორმატის ფორმალურ ჭრილში წამდოლას უწყობს ხელს, შესაბამისად, შედეგად ვიღებთ ინფორმაციულთან ერთად, უშუალო სახის ინტერაქციას.

რ. დიმიტრის ცეკურასი / ჟ. თამთა მელაშვილი - თამთა მელაშვილი პროფესიული მიღწევების განხილვასთან ერთად, ავტორის ფსიქოლოგიური სიღრმეების გამოსააშკარავებელ დისკურსს ირჩევს. „გქონიათ როდისმე განცდა, რომ წერა თამაშის მაგვარია, რაღაც იმ თამაშის მსგავსი, რომელსაც ბავშვობაში ვთამაშობდით, როცა მარტო ვგრძნობდით თავს ან როცა უბრალოდ მარტო ვიყავით?“ - იმის შემდეგ, რაც ჟურნალისტი იგებს ავტორის ფიზიკური მარტო ყოფის შესახებ,ის

ერთი შეხედვით სუბიექტური გამოცდილების შინაარსის მქონე კითხვას სვამს, რომელზეც ავტორის დადებითი პასუხი ორი ინდივიდის მსოფლმხედველობის გაზიარებას ჰგავს. თამთა მელაშვილი უფრო უღრმავდება ამ საკითხს და კითხვის დასმის წინ საკუთარ გამოცდილებას უზიარებს რესპონდენტს - „მეც მიცხოვრია მარტო და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში, გამამდიდრებელიც, გამათავისუფლებელიც. მგონია, რომ კულტურა გვახვევს თავზე იმას, რომ მარტოობა საშინელებად წარმოვიდგინოთ.“ ამ წინადადებას, რომელმაც კორესპონდენტსა და რესპონდენტს შორის აზრების გაცვლა გამოიწვია, საერთო შეხედულებების ხარჯზე ემოციური კავშირი ჩამოაყალიბა, რომელიც ფონად სდევს ინტერვიუს მსვლელობას.

რ. ანდრო ბუაჩიძე/ ჟ. გუგა მგელაძე - გუგა მგელაძის მიერ გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც ანდრო ბუაჩიძის შემოქმედების ანალიზს ეხება, “ურბანისტის აპოკალიფსური ხილვები” ეწოდება. ეს გარკვეულ წინაპირობას ქმნის ჟურნალისტის საკითხის მიმართ ღრმა პროფესიული ცნობის შესახებ, რაც ვლინდება მის მიერ სწორად შერჩეული, რეტროსპექტული კითხვების დასმისას. ანდრო ბუაჩიძე სიღრმისეული, ამომწურავი პასუხებით გვამცნობს კითხვების შინაარსით კმაყოფილებას. ინტერვიუ ფორმალური, სტრუქტურირებული წესრიგით მიმდინარეობს. თუმცა, ბევრად უფრო ემსგავსება დიალოგს მას შემდეგ, რაც ინტერვიუერი, ანდროს შემოქმედების მისეულ ინტერპრეტირებას უმხელს, რაც ზემოთხსენებულ წერილში აქვს გამოქვეყნებული. ჟურნალისტის საფუძვლიანმა მოკვლევამ ანდრო ბუაჩიძეს ერთგვარი აღტაცების ამომკითხველი რეაქცია მოჰგვარა: „თქვენს შეკითხვებში ჩემი პოეზიის ზოგადი განწყობა ზუსტად არის აღბეჭდილი.“ ამ ერთი მიგნებით ჟურნალისტმა ინტერვიუს გაუშუალოებას და სტატიკური დინამიკიდან უფრო ფლუიდურ კომუნიკაციაში გადაზრდას შეუწყო ხელი.

ჩვენ მიერ განხილულ ინტერვიუებში თავი იყარა იმ გზების მრავალსახეობამ,

რომლის განხორციელებაც სძალუძს ჟურნალისტს, რათა ინტერვიუს მსვლელობა უფრო ცოცხალი, ორგანული და მკითხველისთვის სასიამოვნო პროცესი გახადოს. რათქმუნდა, ეს არ ეხება ყველა სახის ინტერვიუს, თუმცა, ლიტერატურული პროცესის სიღრმისეულ განხილვას ემოციური ფონი მუდმივად თან სდევს, რომლის რეგულირებაც ზემოთხსენებულმა ჟურნალისტებმა სხვადასხვა კომუნიკაციური მიღწევის სახით შეძლეს. კომუნიკაციური მიღწევები ეფუძნება ინტერვიუს დაწყებამდე მოსამზადებელ პერიოდში შეძენილი ცოდნის ინტერვიუს მსვლელობისას კონტექსტიდან გამომდინარე გამოვლინებას, და მიმართულია ურთიერთობის გაღრმავებისა და საერთო დინამიკის გაუმჯობესებისკენ. მოცემულ ინტერვიუებში გამოვლინდა სხვადასხვა სახის თანხვედრა კომუნიკაციურ პროცესში, რისი საწინდარიც ინტერვიუს მსვლელობისას გამოვლენილი დეტალების აღქმის უნარი, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს წარმართვა, სწორად შერჩეული ინტერტექსტუალური ჩართვა, ენთუზიაზმის გამოვლინება, საერთო დადებითი განწყობის და ფონის შექმნა იყო.

დასკვნა

ჩვენს მიერ წარმოებულ კვლევაში გამოიკვეთა ლიტერატურული ინტერვიუს ჟანრის შესაძლებლობების ფართო არეალი. დისკურსული (ჟანრული) ანალიზის მეშვეობით დავადგინეთ, რომ ლიტერატურული ინტერვიუ თავის მხრივ არ წარმოადგენს მონოლითურ ქმნილებას, არამედ – ლიტერატურის და ჟურნალისტიკის მრავალმიმართებიან ბმას, რომელიც საზოგადოების მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. სხვა ჟანრებისგან განსხვავებით ინტერვიუ გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მოვახდინოთ შემოქმედის და მის მიერ გადმოცემული ინტროსპექტული შინაარსის აბსტრაქტიზაცია და ყოველდღიურობაში მიმდინარე პროცესებს მივუსადაგოთ. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოვლინდა ლიტერატურული

ინტერვიუს ჟანრის დამსახურებები, რომლებიდანაც ერთ-ერთი რესპონდენტის პიროვნების, ლიტერატურული პროცესების და სოციალური ცხოვრების ტანდემური წარმოჩენაა. კვლევაში ეს მოვლენა ასახულია ერთი ინტერვიუს რამდენიმე ქვესათაურში გამოვლინებით, რომლებიც მოიცავს რესპონდენტის პიროვნულობაზე ხაზგასმის და მისი პირადი გამოცდილებების შემოქმედებაში რეფლექსირების პროცესს, ლიტერატურული სტიმულის პიროვნული გამოხატულების და შემდგომში განზოგადების მოვლენას, რესპონდენტის მიერ ინტერვიუში განხილული საზოგადოებრივი და ლიტერატურული პროცესების პრობლემების წამოჭრას და გადაჭრის გზებზე საუბარს. ამასთან ერთად, ინტერვიუ წარმოჩენილია როგორც ინტერაქციული სახის მედიუმი, რომელშიც ინტერვიუს მონაწილეები შინაარსობრივ ასპექტთან ერთად, კომუნიკაციური პროცესის თანხვედრის ხარჯზე გვთავაზობენ დინამიურ და ცოცხალ პროდუქტს. ინტერვიუს მნიშვნელობითი დატვირთვა გამომდინარეობს მისი მრავალასპექტიანი ბუნებიდან, რომლის მეშვეობითაც ზემოთხსენებული მაგალითების ხარჯზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაძლებელია ლიტერატურული ქმნილების ინტერვიუს გზით აქტუალურ პრიზმაში მოქცევა. ინტერვიუ და მეტწილად სპეციალიზებული ლიტერატურული ინტერვიუ სოციალური ველის ფორმირებაში იღებს მონაწილეობას, რომელშიც სტატიკური ლიტერატურული ქმნილება გარდაიქმნება ცოცხალ, სამსჯელო, გათავისებისთვის ხელმისაწვდომ პროდუქტად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია არსებული საზოგადოების ფარგლებში სოციალური და ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობა, კრიტიკული მსჯელობის განვითარება, ლიტერატურის ინტეგრირება ყოველდღიურობაში და მისი მონაპოვრის მეტად მასობრივი მოხმარება. ეს პროცესი ხელს უწყობს მისი ინდივიდუალური საწყისებიდან გამომდინარე, ადამიანის ხმის გაგონების პროცესს, რაც თავის მხრივ დემოკრატიული მიმდინარეობის გაღვივების საწინდარი და წინსვლის აუცილებელი პირობაა.

ბიბლიოგრაფია:

https://www.scribd.com/document/689953415/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-1?doc_id=689953415&order=655574023 - მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის - დენის დეფლორი

Introduction to Mass Communication – Stanley J. Baran 2009

https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/lectures/jologua_qartuli_jurnalitikis_istoria.pdf - თამაზჯოლოგუა “ქართულიჟურნალისტიკისისტორია”

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4456> - დავიდ. ა.

მჭედლიშვილი 2008

სალიტერატურონაწილშიგამოქვეყნებულიტექსტებიიხ. ხუციშვილი ს, ტატიშვილი ნ.
“სალიტერატურონაწილნიტფილისისუწყებათანი” (ლიტერატურულ-
ანოტირებულებიბლიოგრაფიაწინასიტყვაობით, სამიებლებითა და შენიშვნებით).
“ბიბლიოგრაფიისმომამბე”, (ტ) 1. თბ.:1940, გვ. 65-98`

მეუნარგია ი. გიორგიდავითისძეერისთავი. წიგნში: ი. მეუნარგია.
ქართველიმწერლები. სოლ. ჩაიშვილისრედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით,
ი. თბ.: 1954, გვ. 267-271

გამეზარდაშვილი დ. კვლავსალაყბოფურცლების” ავტორთავინაობისსაკითხისათვის.
წიგნში: დ. გამეზარდაშვილიქართულილიტერატურისა და კრიტიკისისტორიიდან,
[ტ] 3.თბ.: 1975, გვ. 289-306

არილისისტორია - <https://www.ambebi.ge/article/312093-zhurnali-arilis-cvlili-kartuli-literaturis-ganvit/>

ინტერვიუები:

[„თუწერასშევწყვეტთ, დამანგრეველძალებსმივცემთსაშუალებას,
მთლიანადდაიმორჩილონენა“ – ინტერვიუჯონკინსელასთან – არილი](#) - ჯონკინსელა
[ინტერვიუთამრიფხაკაძესთან – ის, რაცგინდა, ზოგჯერმაზენამდვილი და ძლიერია,
რაცგაქვს – არილი](#) - თამრიფხაკაძე
[დიმიტრისცეკურასი – კაცი, რომელსაცლიტერატურადლიერუყვარს – არილი](#) -
დიმიტრისცეკურასი
[ინტერვიუანდრობუაჩიძესთან – „პოეტი –](#)

მთარგმნელი არამარტო ანალიტიკოსი უნდა იყოს.

არამედ დახვეწილი გემოვნების მქონე ადამიანიც” – არილი - ანდრობუაჩიძე

„იმისთვის ვწერ, რომ შემსპერსონაჟებს რაც შეიძლება ხანგრძლივი და

ბევრნაირი სიცოცხლე ჰქონდეთ“ – ინტერვიუ თამთამელაშვილთან – არილი -

თამთამელაშვილი

რატია მაღლობელი: “ლიტერატურული კავშირები”

დღეს კარგი ხაჭაპურის შესაჭმელია დგილია და არალიტერატურაზე საუბრის – არილი

- რატი მაღლობელი

მაიკლ კანინგემი: ადამიანთა სულებს ქეცს იარაღვით – არილი - მაიკლ კანინგემი

ანაკორძაია-სამადაშვილი, „ყველა ჩემს ქალპერსონაჟს კარგად ვიცნობ. საუკეთესოდ“ –

არილი - ანაკორძაია-სამადაშვილი

ოთარ ჭილაძე – “ღრუბელი” – არილი - ოთარ ჭილაძე

ინტერვიუ სალომე პატარიძესთან – საკუთარი ხმის სპოვნის შესაძლებლობა – არილი -

სალომე პატარიძე

Fitzsimons, E. Entering “The Woman’s World”: Oscar Wilde as Editor of a Woman’s Magazine / E. Fitzsimons. – Text : electronic // The Victorian Web: Literature, History & Culture in the Age of Victoria. – 2015. – 16 September. – URL:

<https://victorianweb.org/authors/wilde/fitzsimons.html>.

<https://www.merriam-webster.com/dictionary/Bechdel%20Test>

№ 25. – С. 99–109.

Абашева, М. П. Литература в поисках лица (русская проза конца XX века: становление авторской идентичности) / М. П. Абашева. – Пермь : Изд-во Пермского ун-та, 2001. – 318 с.

Александров, А. С. Ответы писателей на анкеты периодических изданий начала XX века / А. С. Александров // Вестник Томского государственного университета. – 2019. – № 447. – С. 5–10.

Анна Вичкитова, Роль «толстых» журналов в современном русском литературном процессе doi: 10.17323/1728-192X-2016-3-68-90 СОЦИОЛОГИЧЕСКОЕ ОБОЗРЕНИЕ. 2016. Т. 15. № 3

Беседа с Н. А. Тэффи // Вечерние известия. – 1916. – 3 марта (924). – С. 8.

Брокгауз, Ф. А. Портрет / Ф. А. Брокгауз, И. А. Эфрон // Энциклопедический словарь : в 86 т. Т. 48. – СПб. : Типо-литография И. А. Ефрона, 1898. – С. 323.

Вахненко, Е. Е. Редакционная политика газеты «Биржевые ведомости» в контексте исторического слома (июль 1914 – октябрь 1917 года) / Е. Е. Вахненко // Сибирский филологический журнал. – 2019. – № 4. – С. 101–115.

Гудков Л., Дубин Б. (1994). Литература как социальный институт. М.: Новое литературное обозрение.

Макарова, П. А. О влиянии жанра литературного портрета на литературный репортаж конца XIX века (на основании публикаций Ж. Юре в газете Эко де Пари) / П. А. Макарова, А. Д. Сабова // Вестник Московского университета. Серия 10. Журналистика. – 2020. – № 4. – С. 80–100.

Рейтблат, А. И. Роман литературного краха / А. И. Рейтблат // Новое литературное обозрение. – 1997. –

Селютина, Е. А. Зарождение жанра литературного интервью на рубеже XIX– XX веков / Е. А. Селютина. – Текст : непосредственный // Филологический класс. – 2022. – Т. 27, № 4. – С. 76–87. – DOI: 10.51762/1FK-2022-27-04-07.

Тертычный, А. А. Жанры периодической печати : учебное пособие / А. А. Тертычный.
– М. : Аспект-Пресс, 2017

Тугушева, Э. Ф. Интервью с писателем как источник метапоэтических данных о языке
новейшей художественной литературы / Э. Ф. Тугушева, Л. А. Федорчукова, Н. П.

Филатова // Грамота: Филологические науки. Вопросы теории и практики. – 2018. – № 8
(86). Ч. 1. – С. 57–61.